

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი



CAUCASIAN INSTITUTE  
FOR ECONOMIC AND SOCIAL RESEARCH

# ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მიწოდების სტანდარტები

სამაგიდო კვლევა და რეკომენდაციები



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თბილისი 2010



**CAUCASIAN INSTITUTE  
FOR ECONOMIC AND SOCIAL RESEARCH**

Tel.: +995 32 72 90 25 E-mail: [info@ciesr.org](mailto:info@ciesr.org)

[www.ciesr.org](http://www.ciesr.org)



CAUCASIAN INSTITUTE  
FOR ECONOMIC AND SOCIAL RESEARCH

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური  
კვლევითი ინსტიტუტი

ადგილობრივი თვითმმართველობის  
სერვისების მიწოდების სტანდარტები

სამაგიდო კვლევა და რეკომენდაციები



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თბილისი 2010

წინამდებარე კვლევა მომზადებულია კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის მიერ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით.

ფონდი პასუხისმგებელი არ არის პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და შეხედულებებზე.

**პროექტის სახელწოდება:** "ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მარეგულირებელი სტანდარტებისა და ხარისხის სისტემის კვლევა საქართველოში";

**პროექტის ნომერი:** 16528.

© CIERS, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი;

© OSGF, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო".

**კვლევაზე მუშაობდნენ:** დავით ნარმანია  
(გამოცემაზე პასუხისმგებელი)

დავით ლოსაბერიძე

შოთა მურღულია

მიხეილ ძაგანია

ოთარ კიკვაძე

თემურ თორდინავა

ISBN 978-99928-72-39-0

UDC (უაკ)352/354+316.42](479.22) ა-27

<b>1. ინფორმაცია პროექტის და კვლევის შესახებ</b>	
1.1. პროექტის არსი და ძირითადი ამოცანები	5
1.2. კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები	8
<b>2. ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისები საქართველოში</b>	<b>14</b>
<b>3. სახელმწიფო სტანდარტების სისტემა საქართველოში</b>	<b>20</b>
<b>4. ადგილობრივი სერვისების სფეროში არსებული მდგომარეობა</b>	<b>24</b>
4.1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები	24
4.2. საგზაო მოძრაობის დაგეგმარება	30
4.3. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	32
4.4. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები	36
4.5. გარეგანათება	42
4.6. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	44
4.7. სახანძრო უსაფრთხოება	49
4.8. ავტომანქანების პარკირება	52
4.9. ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია	55
4.10. დასუფთავება და ნარჩენების გატანა	58
<b>5. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი</b>	<b>61</b>
5.1. სტანდარტების საკანონმდებლო რეგულირება ევროკავშირში	61
5.2. საჯარო სერვისები საზღვარგარეთის ქვეყნებში	69
5.3. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება	74
5.3.1. პოტსდამის თვითმმართველობა (გერმანია)	74
5.3.2. ნეოპოლომიცეს თვითმმართველობა (პოლონეთი)	79

<b>6. დასკვნები და რეკომენდაციები</b>	<b>81</b>
6.1. ძირითადი დასკვნები	81
6.2. რეკომენდაციები	87
<b>გამოყენებული წყაროები და მასალები</b>	<b>92</b>
<b>დანართები</b>	
<b>დანართი 1</b>	
საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წერილი	94
<b>დანართი 2</b>	
სამშენებლო ნორმები და წესები	97
<b>დანართი 3</b>	
გორის ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი	100
<b>დანართი 4</b>	
ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილი	107
<b>დანართი 5</b>	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განკარგულება	108
<b>დანართი 6</b>	
რუსთავის საკრებულოს განკარგულება	110
<b>დანართი 7</b>	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში გარე განათების მონტაჟის ხარჯთაღრიცხვა.	113
<b>დანართი 8</b>	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მერიის სასაფლაოს ღობის შეკეთების ხარჯთაღრიცხვა	114

## 1. ინფორმაცია პროექტის და კვლევის შესახებ

### 1.1. პროექტის არსი და ძირითადი ამოცანები

დღესდღეობით მსოფლიოს უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა თავისი ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში მიმართავს **საჯარო-კერძო პარტნიორობის** (Public-private partnership, აბრევიატურით PPP) სხვადასხვა ფორმებს, რაც გულისხმობს ამა თუ იმ სფეროში გარკვეული საქმიანობის უზრუნველყოფას კერძო შემსრულებლის მიერ, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა უკვეთავს თავისთვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით. ბუნებრივია, ამ პროცესების განხორციელების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელ კომპონენტს მიწოდებული სერვისის ხარისხი და ნორმები წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს ხარისხიანად და თანაბრად მიაწოდოს მუნიციპალური სერვისი, სადაც მიწოდებული მომსახურება მინიმალურად მაინც უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის იმ მაჩვენებელს, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. რეალურად კი საქართველოს თვითმმართველობებში არ არსებობს არანაირი საერთაშორისო დონის სტანდარტი (ინსტრუქცია, რეგულაცია), რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს თვითმმართველობები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურული თუ ადმინისტრაციული ხასიათის სერვისების მოსახლეობისთვის ხარისხიანად მიწოდების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება საქართველოს თვითმმართველობებში არსებულ მუნიციპალური სერვისების სტანდარტებსა და რეგულაციებს, აღნიშნული სფეროც მოქცეულია საბჭოთა პერიოდის სტანდარტიზაციის სივრცეში და აქაც მოქმედებს აბსოლუტურად იგივე მექანიზმები, რაც ზოგადად არსებობს ქვეყნის მასშტაბით. 2003 წელს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) მიერ მიღებული იქნა ბრძანება "საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ ISO 9001 : 2003 "ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები" დამტკიცების შესახებ. ბრძანების მეორე მუხლის თანახმად, "აღნიშნული სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია". აღნიშნული ბრძანება ასევე ვრცელდება ადგილობრივ თვითმმართველობებზეც.

სტანდარტის გამოყენების ნებაყოფლობითობა შეიძლება განვიხილოთ როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური თვალსაზრისით. სტანდარტიზაციის ნებაყოფლობითობითობა სუბიექტებს (თვითმმართველობებს) ერთის მხრივ, აძლევს საშუალებას მუნიციპალური სერვისები მოსახლეობას მიაწოდონ კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე და არსებულ რეალობასთან მაქსიმალურად მორგებულად იხელმძღვანელონ ინსტრუქციით, რომელიც უფრო მოქნილი იქნება მოცემულ სიტუაციაში. თუმცა, მეორეს მხრივ, აღნიშნული მიდგომით დიდია ალბათობა იმისა, რომ დაქვეითდეს მიწოდებულ მომსახურების ხარისხი, რადგან არ არსებობს სისტემურად ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო, რომლის გათვალისწინებითაც ადგილი ექნებოდა სერვისების კომპლექსურად გააზრებულ დაგეგმარებას.

კავკასიის ეკონომიკურმა და სოციალურმა კვლევითმა ინსტიტუტმა ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით განახორციელა პროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობების სერვისების მარეგულირებელი ნორმები და ხარისხის სისტემის



კვლევა". პროექტი გულისხმობდა საპილოტე მუნიციპალიტეტებში (ოზურგეთი, გორი, რუსთავი, თბილისი) ვიზიტებს, ადგილებზე სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებას ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ მუნიციპალური სერვისების განხორციელებას. გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაციები და ჩატარებული იქნა შესაბამისი ანალიტიკური სამუშაოები. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში შერჩეულ საპილოტედ აღებულ თვითმმართველობებში განხორციელდა სიღრმისეული კვლევა მუნიციპალური სერვისების მიწოდების სფეროში გამოყენებული, თუ გამოყენებადი, ნორმების და ტექნიკური რეგლამენტაციების შესახებ.

დღესდღეობით მუნიციპალური შესყიდვისას ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ძირითად გასათვალისწინებელ ფაქტორს შემსრულებლის მიერ შემოთავაზებული ფასი წარმოადგენს, რაც ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის, თუმცა მეორეს მხრივ, მაღალი ალბათობით სავარაუდოა, რომ "ფასისმიერი" მიდგომით შესრულებული სამუშაოს ხარისხი ექვემდებარება დადგეს. აღნიშნული პრინციპით განხორციელებულ მუნიციპალურ შესყიდვებს ერთჯერადი ეფექტი გააჩნია, რადგანაც ხარისხის არ არსებობის შემთხვევაში მუნიციპალური სერვისი მოკლე პერიოდში იქნება ამორტიზირებული, რაც ხელახლა გახდება დამატებითი ფინანსური ტვირთი მუნიციპალური ბიუჯეტისთვის. მაგალითად, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა საგზაო სამუშაოების შემსრულებელ კომპანიას არჩევს, კომპანია რომელიც ყველაზე იაფ ფასად შესთავაზებს სამუშაოებს, ის ხდება გამარჯვებული. იაფი ღირებულებით შესრულებული სამუშაო კი (დაგებული გზა) მალევე გამოდის მწყობრიდან და მომდევნო წლებში კვლავაც დაფინანსებას საჭიროებს.

ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისთვის მისაწოდებელი სერვისების ხარისხის და რეგულაციების

თვალსაზრისით საკმაოდ სერიოზული პრობლემები არსებობს. შედეგად ადგილი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების არაეფექტურ ხარჯვას და მიწოდებული სერვისის არათანაბრობას სხვადასხვა დასახლებებში.

## **1.2. კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები**

პროექტის შინაარსიდან, მისი სპეციფიკიდან და კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები:

**საკანონმდებლო ბაზის ანალიზი.** ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა მუნიციპალური სერვისები, შესაბამისად, გაანალიზებულ იქნა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს კანონი "სტანდარტიზაციის შესახებ";
- საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 27 ივნისის #313 ბრძანებულება - "საქართველოში სავალდებულო სერთიფიკაციიდან ნებაყოფლობით სერთიფიკაციაზე ეტაპობრივად გადასვლის ღონისძიებათა შესახებ";
- საკვლევ მუნიციპალიტეტებში არსებული ა.ი.პ. "საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების" წესდება;
- საკვლევ მუნიციპალიტეტებში არსებული საბავშვო ბაღების წესდება;
- საკვლევი მუნიციპალიტეტებიდან მოპოვებული, საკრებულოს მიერ მიღებული სხვადასხვა ნორმატიული აქტები.

**მეორადი ინფორმაციის ანალიზი.** ადგილობრივ თვითმმართველობებში მივლინებისას გამოთხოვილი და გაანალიზებული იქნა ადგილობრივი სერივსების მარეგლამენტირებელი მეორადი ინფორმაცია. მათგან მნიშვნელოვანია:

- გორის მუნიციპალიტეტებში არსებული ადგილობრივი გზების მშენებლობისთვის შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილი;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში არსებული ადგილობრივი გზებისა და გარეგანათების მშენებლობისთვის შედგენილი დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვა;
- ქ.თბილისის და ქ.რუსთავის თვითმმართველობებიდან მიღებული ცალკეული რეგულაციები;
- სხვადასხვა მუნიციპალურ სერვისთან დაკავშირებული საბჭოთა ტექნიკური სტანდარტები ე.წ. "სნიპები" (СНИП – Строительные нормы и правила).

**ინტერვიუები ადგილობრივ თვითმმართველობებში.** კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტ-ანალიტიკოსების მიერ განხორციელებულ იქნა ვიზიტები საპილოტე მუნიციპალიტეტებში. პირველ ეტაპზე შესაბამისი საპილოტე მუნიციპალიტეტების შესაბამის წარმომადგენლებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, შემდგომ ამისა კონკრეტული მუნიციპალური სერვისის განმხორციელებელი საქალაქო სამსახურის მიერ მოპოვებულ იქნა ყველა ის ნორმა, წესი, რეგულაცია, რომლითაც საპილოტე მუნიციპალიტეტები რეალურად ხელმძღვანელობენ.

ჩვენს მიერ კვლევის ჩასატარებლად წინასწარ იქნა შერჩეული ოთხი საპილოტე ადგილობრივი თვითმმართველობა შემდეგი პრინციპით:

- **გორის მუნიციპალიტეტი** - მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, რომლის ინფრასტრუქტურაც 2008 წლის რუსული აგრესიის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა. მისი ფართობია 2.327,2 კვ.კმ. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი და 272 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია თვითმმართველობის 25 ტერიტორიულ ერთეულში. მოსახლეობა შეადგენს 148.559 ადამიანს. გორი წარმოადგენს კონფლიქტისპირა თვითმმართველობას, სადაც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები იქნა დაფინანსებული. ამასთან, აღნიშნული მუნიციპალიტეტი ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრია და მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარება ევროპელი პარტნიორების მხრიდან;
- **ოზურგეთის მუნიციპალიტეტი** - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გურიის მხარეში, ტერიტორია შეადგენს 675 კვ.კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 230 კვ.კმ. მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტში შეადგენს 77.200 ათას კაცს, მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, 4 დაბა და 24 სოფელი. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძეა 266,4 კმ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით, საკმაოდ დაბალ ნიშნულზე იმყოფება. მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს მუნიციპალური ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001-2000-ის მიღებაზე და მის დანერგვაზე;
- **ქალაქი რუსთავი** - რეგიონული ცენტრია ქვემო ქართლის მხარეში, ტერიტორია მოიცავს 60,6 კვ.კმ. მოსახლეობის რაოდენობა 116.384 კაცს შეადგენს. რუსთავი წარმოადგენს საქალაქო ტიპის ადგილობრივ თვითმმართველობას, სადაც

კვლევის მიმდინარეობის პერიოდში ფართოდ ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება და ნაგავსაყრელის მოწყობა;

- **ქალაქი თბილისი** - საქართველოს დედაქალაქი, საერთო ფართობი 450 კვ.კმ. მოსახლეობა 1,5 მილიონზე მეტი. დედაქალაქში ყველაზე მეტი ფინანსური რესურსები იხარჯება ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე. ამასთან, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობა საკმაოდ ინტენსიურად ეცნობა საერთაშორისო გამოცდილებას და მიმდინარეობს ზოგიერთი მათგანის დანერგვაც კი. 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დედაქალაქში გაიზარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე ხარჯები.

**ინტერვიუები ექსპერტებთან.** კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ექსპერტებთან (სულ 5 ინტერვიუ):

- **ნოდარ ხატიაშვილი** - საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი;
- **კოტე კანდელაკი** - სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი;
- **ქეთევან ჯაყელი** - მუნიციპალური სერვისების უზრუნველმყოფთა ასოციაცია;
- **კოკა ძაგანია** - ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;
- **ლევან გოგელაშვილი** - ადგილობრივი დემოკრატიის და ეკონომიკის ინსტიტუტი.

**საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი.** პროექტში მონაწილე ექსპერტების მიერ მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება. ექსპერტები გაეცნენ ევროპულ ქვეყნებში მოქმედ ნორმებსა და ტექნიკურ რეგლამენტაციას, გამოყენებული იქნა სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის მასალები. გაანალიზებული იქნა საჯარო სერვისები საზღვარგარეთის ქვეყნებში, ხოლო შემდეგ აქცენტი აღებული იქნა ერთ-ერთ სერვისზე - დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. დეტალურად იქნა გაანალიზებული პოტსდამის (გერმანია) და ნეოპოლომიცეს (პოლონეთი) თვითმმართველობების საჯარო სერვისების მიწოდება და მათი რეგულირება.

პროექტში მონაწილე ექსპერტების მიერ მოხდა მინიმალურად აუცილებელი წესებისა და რეგულაციების შედგენა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ყველა რეგულაცია თუ რეგლამენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა, აღნიშნული რეგულაციებიც სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელი იქნება. ამდენად, დაინტერესებულ თვითმმართველობებს საშუალება ექნებათ იხელმძღვანელონ ამ სარეკომენდაციო რეგულაციებით და მათ ეცოდინებათ ის მინიმალური ნორმები და წესები, რითაც უნდა მიაღწიონ სერვისების ეფექტიან მიწოდებას.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტაციების გამოყენება მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს მათ მიერ მოსახლეობისათვის მიწოდებულ სერვისში გარანტირებულ იქნეს ხარისხიანობის ის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო ნორმების შესაბამისი იქნება. არსებობს მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნული რეგლამენტაციების გათვალისწინება მუნიციპალურ სერვისებში რამდენადმე გაზრდის საბიუჯეტო დანახარჯებს და მძიმე ტვირთად დააწვება ისეთი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყანას, როგორც საქართველო, და კერძოდ კი მისი მუნიციპალიტეტებია, თუმცა

მიგვაჩნია, რომ თავდაპირველად შედარებით მეტი ფინანსური სახსრების გაღება (რომელიც დახარჯული იქნება ახლებური ნორმების გათვალისწინებაზე), მუნიციპალური სერვისის მიწოდებისას გრძელვადიან პერიოდში ეფექტური იქნება და კარგ საფუძველს შექმნის თვითმმართველობის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

მინიმალურად აუცილებელი რეგულაციების შემუშავება შემდგომში შესაძლებელია საფუძველად დაედოს იმის დაანგარიშებას, თუ რა ჯდება საშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობების სერვისების მიწოდება და დღეის მდგომარეობით მის რა ნაწილს უზრუნვეყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობები.

## 2. ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისები საქართველოში

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ისტორია არც თუ ისე დიდ პერიოდს მოიცავს, თუმცა მას შემდეგ რაც 2005 წელს შეიქმნა საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," მკაფიოდ განისაზღვრა თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლება-მოვალეობანი. აღნიშნული უფლება-მოვალეობანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მუნიციპალური სერვისები, რომელთა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანად მიწოდება მუნიციპალიტეტის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს უფლებამოსილება მხოლოდ მათი განსახორციელებელია და არც ერთი სხვა დონის ხელისუფლებას (არც ცენტრალურს და არც სამხარეოს) მისი განხორციელების უფლება არ გააჩნია.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია მის მოსახლეობას მიაწოდოს შედამეგი სერვისები:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება;
- განათება;
- ავტომანქანის პარკირების ადგილის განსაზღვრა;



- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის ფორმით შექმნა და მათი წესდების დამტკიცება;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება;
- ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია;
- თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, საგზაო მოძრაობის დაგეგმარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების ჩამონათვალში, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ფუნქცია, რომელიც ტრადიციულად თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური კომპეტენციების სფეროს განეკუთვნება. ეს სფეროები, თავის მხრივ, იყოფიან მიმართულებებად, სადაც თვითმმართველობებს ადმინისტრირების, მომსახურების, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო (ყველა ერთად, ან მათი ნაწილი) უფლებამოსილება გააჩნიათ. ესენია:

- განათლების სფერო: მოსამზადებელი, დაწყებითი, სრული, ტექნიკური და სპეციალიზებული, უმაღლესი განათლება, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემა;
- სოციალური დაცვა: ბაგა-ბაღები, საბავშვო ბაღები, მოხუცებულთა დახმარება, სპეციალური დახმარება უსახლკაროთათვის და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, უმუშევართა დახმარების ადგილობრივი პროგრამები, სოციალური ბენეფიტები თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის;
- ჯანმრთელობის დაცვა: პირველადი/სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავადმყოფოები;
- კულტურის, სპორტისა და გართობის სფერო: ადგილობრივი (მუნიციპალური მნიშვნელობის თეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, პარკები, სპორტული მოედნები და საზოგადოებრივი გართობის ცენტრები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისათვის გამიზნული ობიექტები;
- საზოგადოებრივი (ეკონომიკური) სერვისების მიწოდება: სასმელი წყლით მომარაგება, საირიგაციო სისტემები, ელექტრომომარაგება, გაზომომარაგება, მუნიციპალური (ე.წ. ცენტრალური გათბობის სისტემები), ადგილობრივი მნიშვნელობის კავშირგაბმულობა;
- გარემოს დაცვა, ჰიგიენა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა: ნაგვის გატანა და უტილიზაცია-გადამუშავება, ქუჩების დასუფთავება-ჩარეცხვა, ბუნების დაცვის ადგილობრივი ღონისძიებები, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

- გზები და ტრანსპორტი: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, შეკეთება და მოძრაობის რეგულირება, გარეგანათება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება და რეგულირება;
- ურბანული განვითარება: ქალაქდაგეგმარება, რეგიონული-სივრცითი დაგეგმარება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა;
- ზოგადი ადმინისტრირება: ლიცენზირება და სახვადასხვა სახის უფლებების გაცემა, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (ამომრჩეველთა, სოციალურად დაუცველთა და ა.შ. რეგისტრაცია, მოქალაქეთათვის ადმინისტრაციული დოკუმენტაციის მიწოდების უზრუნველყოფა), მუნიციპალური პოლიცია, სახანძრო სამსახური, სამოქალაქო თავდაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

აღნიშნული ფუნქციების უმეტეს ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც წესი, ექსკლუზიურად ახორციელებენ, ან უკიდურეს შემთხვევაში დელეგირებული აქვთ ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ეს უკანასკნელი საერთო (სავალდებულო ან ნებაყოფლობითი) სტანდარტების შემუშავებით, კონსულტაციებითა და ტექნიკური დახმარების გზით უზრუნველყოფს ჩამოთვლილი სისტემების შეუფერხებელ მუშაობას.

საქართველოში საქმე ამ მხრივ მაინცადამაინც სახარბიელოდ არ გამოიყურება. ზემოაღნიშნული კომპეტენციების აბსოლუტური უმრავლესობა ან უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორციელდება (მაქსიმალურად ცენტრალიზებულია), ან განხორციელდა და ხორციელდება საზოგადოებრივი სერვისების სისტემების ისეთი სახით პრივატიზაცია (კომერციალიზაცია), როცა არ არსებობს არავითარი, თუნდაც მინიმალური სტანდარტების დაცვის

მოთხოვნა არც სახელმწიფოსა და არც ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან.

თავი რომ დავანებოთ საქართველოს ე.წ "ძველი დემოკრატიის" ქვეყნებთან შედარებას, ყოფილი სოციალისტური ბლოკისა და დღეს ქვეყნებში არსებული სურათის ანალიზი აჩვენებს ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ პოზიციაზე ყოფნას. ტრადიციულად ადგილობრივი თვითმმართველობის 46 უმთავრესი კომპეტენციის ჩამონათვალიდან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 18 ქვეყანას შორის საქართველო ბოლო ადგილზეა.

	ქვეყანა	კომპეტენცია	100%
1	უკრაინა	46	100
2	პოლონეთი	45	98
3	ლატვია	44	96
4	ბელარუსი	42	91
5	რუსეთის ფედერაცია	40	87
6	სლოვაკეთი	40	87
7	უზბეკეთი	39	85
8	ყირგიზეთი	39	85
9	სლოვენია	39	85
10	ყაზახეთი	38	83
11	ლიტვა	38	83
12	ჩეხეთის რესპუბლიკა	38	83
13	უნგრეთი	37	80
14	ესტონეთი	34	74
15	ტაჯიკეთი	33	72
16	აზერბაიჯანი	30	65
17	სომხეთი	29	63
18	<b>საქართველო</b>	<b>16</b>	<b>35</b>

ამ მხრივ საქართველო ჩამორჩება თავის კავკასიელ მეზობლებსაც, რომელთაც, ჯერ კიდევ 5 წლის წინ, ბევრი მაჩვენებლით უსწრებდა. სურათი კიდევ უფრო დამძიმდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, 2005-2006 წლებში განხორციელებულ ადმინისტრაციულ რეფორმას შედეგად მუნიციპალიტეტების მეტისმეტი გამსხვილება მოჰყვა და ისინი ზომით მთელი რიგი ქვეყნების (ჩეხეთი, ესტონეთი) ზედა (არათვითმმართველი) დონის ტერიტორიულ ერთეულებს გაუთანაბრდა.

სამწუხაროდ მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობების კომპეტენციათა ჩამონათვალი მეტისმეტადაა შეკვეცილი, ხოლო, მეორეს მხრივ, მუნიციპალიტეტები ბევრად აღემატებიან თავიანთი შესაძლებლობებით ადრეარსებულ, წვრილ ადგილობრივ თვითმმართველობებს, საზოგადოებრივი სერვისებისათვის საერთო-ეროვნული, თუნდაც მინიმალური და თუნდაც ნებაყოფლობითი, სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესი არც თუ ისე კარგ მდგომარეობაშია, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

### 3. სახელმწიფო სტანდარტების სისტემა საქართველოში

საქართველოს ნორმებისა და რეგულაციების სისტემის ძირითად სამართლებრივ საფუძველს საბჭოთა პერიოდის სტანდარტიზაციის სისტემა წარმოადგენს, მიუხედავდ იმისა, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სტანდარტიზაციის სფეროში არსებული სივრცის სრულყოფის მიზნით, არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა:

- 1996 წლის 6 სექტემბერი, "საქართველოს კანონი სტანდარტიზაციის შესახებ" - კანონი ადგენს საქართველოში სტანდარტიზაციის სამართლებრივ საფუძველს, არეგულირებს ურთიერთობას სტანდარტიზაციის სფეროში;
- 2002 წლის 27 ივნისი, საქართველოს პრეზიდენტის #313 ბრძანებულება - "საქართველოში სავალდებულო სერთიფიკაციიდან ნებაყოფლობით სერთიფიკაციაზე ეტაპობრივად გადასვლის ღონისძიებათა შესახებ" - რომლის ძირიადი მიზანი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, არის სტანდარტიზაცია-სერთიფიკაციის სფეროში სავალდებულო სტანდარტიზაციიდან ნებაყოფლობით სტანდარტიზაციაზე გადასვლა;
- 2002 წლის 25 ოქტომბერი, საქართველოს პრეზიდენტის #445 ბრძანებულება - "საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ". ბრძანებულება ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და

სერთიფიკაციის სახელმწიფო სისტემის სრულყოფის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მეტროლოგიის ცენტრის" შექმნას;

- 2003 წლის 10 ივლისი, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) ბრძანება #278 "საქართველოს ტერიტორიაზე სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე". აღნიშნული ბრძანებით რეგულირდება რეგიონალურ ან ეროვნულ სტანდარტებსა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული შესაბამისობის ხარისხის დადგენა;
- 2003 წლის 4 ნოემბერი, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) #341 ბრძანება "საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ ISO 9001 : 2003 "ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, ძირითადი დებულებები და ლექსიკონი" დამტკიცების შესახებ. - ბრძანების მეორე მუხლის თანახმად, აღნიშნული სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია და აღწერს ხარისხის მენეჯმენტის სისტემების ძირითად დებულებებს, რომელიც წარმოადგენს ISO 9000 სერიის სტანდარტების ობიექტს და განსაზღვრავს შესაბამის ტერმინებს;
- 2005 წლის 24 ივნისი, "სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2006 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) წევრ-კორესპონდენტის სტატუსი მიენიჭა, რაც გულისხმობს ყველა იმ პრიორიტეტით სარგებლობას, რომლებიც წევრ ქვეყნებს ISO-ს წევრ

კორესპონდენტის სტატუსით ენიჭებათ. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველოს სახელმწიფო მიიღებს საერთაშორისო სტანდარტებს, ტექნიკურ ანგარიშებს, ტექნიკურ ანგარიშებს, სახელმძღვანელოებს. ISO-ს წევრობა იძლევა შესაძლებლობას ქვეყანაში ხარისხის ინფრასტრუქტურაში ჩაბმულმა ნებისმიერმა სუბიექტმა იმოქმედოს საერთაშორისო ნორმებით და ამ გზით თავისი საქმიანობა კონკურენტუნარიანი გახადოს საერთაშორისო ბაზარზე.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩვენს ქვეყანას სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო - საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტაციებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს.

საქართველოს ISO-ში გაწევრიანებით უფლება აქვს დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანდეს ISO-ს შემდეგ კომიტეტებში: CASCO (შესაბამისობის შეფასება); KOPOLGOO (მომხმარებელთა უფლებები); DEVCO (განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნები); INFCO/ISONET (სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების საინფორმაციო სისტემები).

2008 წლის 15 აპრილს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN) წევრი გახდა. მასში გაწევრიანებით ხელმისაწვდომი ხდება ევროპული რეგულაციები. CEN-ის წევრობა მეწარმეებს და სახელმწიფო სტრუქტურებს ევროპული რეგულაციის სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცნობით, 2009 წელს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტისგან (CEN) კეთილი ნების სახით მიიღო ევროპული სტანდარტების სრული ბაზა (მათ შორის გაწევრიანებამდე



მიღებული სტანდარტებიც) ამავდროულად განახლება ხორციელდება რეგულარულად ახლად მიღებული სტანდარტებით.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა ევროპული ნორმების გამოყენება ტექნიკური რეგლამენტაციების საფუძვლად, რაც ტექნიკური რეგულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების ერთ-ერთი წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სტანდარტიზაციის სისტემის გარკვეული პროგრესის მიუხედავად (რაც საქართველოს ევროპულ კომიტეტში გაწევრიანებას გულისხმობს), საქართველოში არსებული სხვადასხვა სახის ორგანიზაციები, იქნება ეს კერძო სუბიექტები თუ სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამისი ორგანოები, კვლავ ძველი საბჭოთა დროის სტანდარტებით სარგებლობენ.

რაც შეეხება თვითმმართველობის სფეროს, ზემოაღნიშნული საკითხისადმი სისტემური მიდგომა აქაც იდენტურია და გამონაკლისს არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ. აღნიშნულის დადასტურებისთვის ჩვენმა ორგანიზაციამ წერილობით მიმართა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტაციებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მარეგულირებელი ნორმების გამოთხოვის თაობაზე. პასუხად მივიღეთ მხოლოდ რამდენიმე სერვისის საბჭოთა პერიოდში გამოცემული რეგულაციები (იხ. დანართი #1, საქსტანდარტის #281 წერილი, 15.05.2009), რომელთა გამოყენების მიზანშეწონილობა სერიოზულ კვლევას საჭიროებს.

## 4. ადგილობრივი სერვისების სფეროში არსებული მდგომარეობა

როგორც საპილოტე მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული მასალების აღწერიდან ჩანს, ადგილებზე მუნიციპალური სერვისების უზრუნველყოფის თვალსაზრისით საკმაოდ რთული ვითარებაა. ჩვენს მიერ გამოკვლეული სერვისების უმრავლესობა ხორციელდება აბსოლუტურად სპონტანურად, ყოველგვარი რეგულაციისა თუ ინსტრუქციის გარეშე. არის სერვისთა მცირე ჯგუფი, რომელთა მენეჯმენტი მეტ-ნაკლებად რეგულირებულია და ტექნიკური რეგლამენტაციის ფარგლებშიც არის მოქცეული, თუმცა აქაც არსებობს მთელი რიგი უზუსტობებები და ხარვეზები. შევეცდებით კონკრეტული ანალიზი გავუკეთოთ თითოეულ სერვისს საპილოტე მუნიციპალიტეტების მიხედვით.

### 4.1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "25" პუნქტით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

"საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

- მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე მუნიციპალიტეტების დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი გზები;

- დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;
- მუნიციპალიტეტების დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურიზმის ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებთან (რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან, საზღვაო ნავსადგურებთან მისასვლელები საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებთან;
- გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული პუნქტებით განსაზღვრულ ადგილობრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვს თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** მუნიციპალიტეტში არსებობს შესაბამისი საპროექტო ორგანიზაცია, რომელსაც მუნიციპალიტეტი შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აძლევს შეკვეთას და საპროექტო ორგანიზაციის მიერ ხდება პროექტის შედგენა,

რომელიც ეყრდნობა საბჭოთა სტანდარტს: "სამშენებლო ნორმები და წესები", СНИП 2.05.02-85; СНИП 3.06.03-85.

**СНИП 2.05.02-85** შედგება შემდეგი ქვეთავებისგან:

1. ზოგადი დებულებები;
2. მოძრაობის უსაფრთხოება და ორგანიზება;
3. გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
4. ძირითადი ტექნიკური ნორმები და სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებლები;
5. საავტომობილო გზების გადაკვეთა და შეპირისპირება;
6. მიწის საფარი;
7. საავტომობილო გზების სამოსი;
8. ხიდები, მილები და გვირაბები;
9. საგზაო საავტომობილო სამსახურების შენობები და მოწყობილობები; საავტომობილო გზების გადაკვეთა სარკინიგზო გზებით და სხვა კომუნიკაციებით;
10. საგზაო და საავტომობილო სამსახურების შენობები და მოწყობილობანი.

**СНИП 3.06.03-85:**

1. ზოგადი დებულებები;
2. საგზაო-სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაცია;
3. მოსამზადებელი სამუშაოები;
4. მიწის საფარის მოწყობა;
5. დამატებითი ფენების მოწყობა ფუძესა და ფენათა შორის;

6. ფუძისა და საფარის მოწყობა მსხვილი მოსაპირკეთებელი, ქვიშიანი და თიხიანი გრუნტით და საწარმოო ნარჩენებით, რომელიც გამაგრებულია არაორგანული და ორგანული შემკვრელი მასალებით;
7. ურთიერთდამაკავშირებელი გრანულირებული წიდის ფუძის მოწყობილობა;
8. ფუძისა და საფარის მოწყობა დექტობეტონის ნარევისაგან, შავი შებენით და შემკვრელი ნარევით;
9. ასფალტობეტონის გზების მოწყობილობა;
10. გზის ზედა საფარის დამუშავება ცემენტობეტონით;
11. მონოლითური და ასაწყობი ცემენტობეტონის გზისთვის საჭირო მოწყობილობის გამართვა;
12. შესრულებული სამუშაოების მიღება.

**გორის მუნიციპალიტეტი.** საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით გორის მუნიციპალიტეტში არსებობს საპროექტო ორგანიზაცია, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგეობა უკვეთავს ამა თუ იმ სარეაბილიტაციო გზის დაპროექტების სამუშაოს. საპროექტო ორგანიზაცია ადგენს პროექტს, რომლის დროსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა СНИП 2.05.02-85; СНИП 3.06.03-85 და ВСН 37-84 სტანდარტით (იხ.დანართი #2). აღნიშნული რეგულაცია შემუშავებულია 1985 წელს. ჩვენ მოვიპოვეთ გორის მუნიციპალიტეტში აღნიშნული ნორმის შესაბამისად დაპროექტებული გზის ტექნიკური მაჩვენებლები (იხ.დანართი #3).

ჩვენს მიერ გამოთხოვილ იქნა სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილი, რომელიც შემუშავებულია აღნიშნული საპროექტო ორგანიზაციის მიერ და რომლის საფუძველზეც

მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს შესასრულებელ სამუშაოზე. სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილი შედგება განმარტებითი ბარათისა და ნახაზებისგან.

განმარტებითი ბარათი შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- საერთო ნაწილი;
- მშენებლობის რაიონის მოკლე დახასიათება;
- დაპროექტებული ქუჩების აღწერა;
- მოსამზადებელი სამუშაოები;
- მიწის ვაკისი;
- საგზაო სამოსი.

რაც შეეხება ნახაზებს აღნიშნულ დოკუმენტში, იგი შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი არის უწყისების სია:

- სამუშაოთა მოცულობის კრებსითი უწყისი;
- მობრუნების კუთხეების სწორების და მრუდების უწყისი;
- სამოსის მოწყობის უწყისი;
- გადამკვეთ ქუჩებზე სამოსის მოწყობის უწყისი;
- ჭების ადგილმდებარეობის უწყისი;

ნახაზების მეორე ნაწილი შედგება ნახაზების სიისაგან:

- სიტუაციური გეგმა;
- გრძივი პროფილი;
- გასწორხაზებული გეგმა;
- განივი პროფილები.

გამომდინარე აქედან, დგება სამუშაოთა მოცულობის კრებსითი უწყისი, რომელშიც უკვე დეტალურად და საბოლოოდ არის გაწერილი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სტრუქტურა.

**ქ.რუსთავი.** ქ.რუსთავის კეთილმოწყობის სამსახური ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაპროექტების სამუშაოებს სპეციალურ საპროექტო ორგანიზაციას (რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მუნიციპალურ შპს-ს) უკვეთავს. საპროექტო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს შემდეგი სტანდარტით:

- "სამშენებლო ნორმები და წესები" (СНИП IV-2-82);
- "საავტომობილო გზები" (СНИП 3.06.03-85).

**ქ.თბილისი.** აღნიშნული სერვისის უზრუნველსაყოფად ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური იყენებს შემდეგ სტანდარტებსა და რეგულაციებს:

- "საავტომობილო გზები" (СНИП 3.06.03-85);
- "საავტომობილო საგზაო სამოსის კონსტრუირება" (ВСН 16-95, 1997);
- "საავტომობილო გზები" (СНИП 2.05.02-97);
- "სახელმწიფო სტანდარტები" (ГОСТ 9128-97);
- "სამშენებლო ნორმები და წესები" (СНИП 2.07.01-94).

შეიძლება ითქვას, საკვლევ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებთან მიმართებაში, შესაბამისი ნორმების გამოყენების მხრივ, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ოთხივე მუნიციპალიტეტში არსებობს საპროექტო ორგანიზაციები, სადაც

ხდება ახლადდასაგები თუ სარეაბილიტაციო ადგილობრივი მნიშვნელობის გზის პროექტის შედგენა, რომელიც ეყრდნობა მუნიციპალიტეტში არსებულ სპეციალურ ნორმებს. თუმცა საკითხს ართულებს ის "СНИП"-ები და "ГОСТ"-ები, რომლებიც უმრავლესად საბჭოთა პერიოდის 70-იან და 80-იან წლებშია შექმნილი და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფონზე, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა დიდი ეჭვის ქვეშ დგება.

რაც შეეხება საკუთრივ საპროექტო ორგანიზაციების არსებობის საჭიროებას, მიგვაჩნია, რომ საჭიროა აღნიშნული წარმონაქმნების გარკვეული ტრანსფორმაცია, რათა მიღწეულ იქნას მუნიციპალური ხარჯების ოპტიმალურ ხარჯვა.

#### **4.2. საგზაო მოძრაობის დაგეგმარება**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2უ" პუნქტით, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე (გარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა) საგზაო მოძრაობის დაგეგმარება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ საგზაო მოძრაობის დაგეგმარება "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. საგზაო მოძრაობის დაგეგმარება მოიცავს სატრანსპორტო მარშრუტების განსაზღვრას, "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად - საგზაო მოძრაობის ადგილობრივი პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას, ამავე კანონის მე-8 მუხლის



შესაბამისად - გადაწყვეტილების მიღებას გზაზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეზღუდვის ან შეწყვეტის თაობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**გორის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**ქ.რუსთავი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში ქ.რუსთავში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**ქ.თბილისი.** აღნიშნული სერვისი ასევე ხორციელდება ქ.თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ "საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტაციების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის #45 დადგენილებაში მითითებული ერთ-ერთი ქვეყნის სტანდარტის მიხედვით (იხ. დანართი #4).

როგორც ვხედავთ, ამ სფეროში ოზურგეთის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში არანაირი სახის ნორმა ან რეგულაცია, თუნდაც საბჭოთა პერიოდში შექმნილი, არ არსებობს. გამონაკლისს

წარმოადგენს თბილისი, სადაც ზემოთაღწერილი დადგენილებით ხელმძღვანელობენ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი არასისტემური მდგომარეობის მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული სერვისის უზრუნველყოფა (უხარისხოდ, მაგრამ მაინც) ხორციელდება, რაც ბუნებრივია, შემდგომში "ჯაჭვური რეაქციის" პრინციპით უარყოფით ასახვას ჰპოვებს სხვა სფეროების მდგრად განვითარებაზე.

### **4.3. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2ს" პუნქტით, „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ". ამ კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან დაკავშირებით მითითებულია მხოლოდ 85<sup>2</sup>-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის თვითმმართველ ერთეულებში იქმნება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, რომელთა მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. რაც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოთა უფლებამოსილებებს, ამ უფლებამოსილებათა დეტალიზება ხდება "საქართველოს სანიტარულ კოდექსით". კოდექსის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შესაბამის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის საკითხების გადასაწყვეტად უფლება აქვთ:

- სახელწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოსაგან, ფიზიკური ანდა იურიდიული პირისაგან მოითხოვონ ინფორმაცია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის, გარემო ფაქტორების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზეგავლენის შესახებ, აგრეთვე იმ გეგმებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რომელთა განხორციელებამ შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- მონაწილეობა მიიღონ იმ ღონისძიებების, პროგრამის, გენერალური გეგმისა და სხვა პერსპექტიული პროექტების განხილვაში, რომელთა განხორციელება დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების შესაძლო მავნე ზეგავლენასთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სერვისების მიწოდების კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** ჯანმრთელობის დაცვის სერვისის მიწოდებისათვის მუნიციპალიტეტში არსებობს ა.ი.პ. "ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი". ცენტრი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის

დეპარტამენტის წინაშე. ჩვენ მოვიპოვეთ "ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წესდება", რომელიც შედგება ზოგადი დებულებებისგან, "ცენტრის" ფუნქციებისგან, ცენტრის უფლება მოვალეობებისგან, ცენტრის საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურისგან და ა.შ. როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ განმარტა, სხვა რაიმე რეგულაცია აღნიშნულ სფეროში არ გააჩნიათ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ასევე გადმოგვცა 2007 წლის 5 აპრილის #54 განკარგულება "ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების (მსხვილფეხა და/ან წვრილფეხა პირუტყვის) კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების შესახებ". განკარგულება ეხება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების, ქუჩებში სისუფთავის დაცვის, მწვანე ნარგავების შენარჩუნების მიზნით ქალაქის ტერიტორიაზე და მოსაზღვრე სოფლების მაცხოვრებლების მიერ შინაური ცხოველების კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ უმეტვალყურეოდ გაშვების აკრძალვას (იხ.დანართი #5).

**გორის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სერვისის უზრუნველსაყოფად გორის მუნიციპალიტეტში არსებობს ა.ი.პ. "გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" ცენტრი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წინაშე.

**ქ.რუსთავი.** აღნიშნული სერვისის უზრუნველსაყოფად ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებობს ა.ი.პ. "რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი",

რომელსაც გააჩნია წესდება. აღნიშნული ცენტრის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ეპიდემიური ზედამხედველობის და ეპიდემიური სიტუაციის მართვის ღონისძიებები;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიება;
- მალარიის ელიმინაციის ღონისძიებები;
- ქ.რუსთავის საცხოვრებელი ბინების დერატიზაციის ღონისძიება;
- სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები;
- ქ.რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისთვის "საშიში და შხამიანი ცხოველების (ძირითადად ქვეწარმავლებისა და მორიელების) ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

როგორც წინამდებარე ქვეპუნქტების აღწერილობიდან ჩანს, საპილოტე მუნიციპალიტეტებში არსებობს შესაბამისი მუნიციპალური წარმონაქმნები - "საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები", რომლებიც ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან როგორც მუნიციპალიტეტის ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წინაშე. ცენტრები პერიოდულად იღებენ მეთოდურ მითითებებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტიდან. თუმცა ოზურგეთის, გორისა და რუსთავის თვითმმართველობები წმინდა ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით (როგორც არის მაგ: პრეპარატების შენახვის, მათი ტემპერატურული რეჟიმის დაცვის,

ტრანსპორტირების და ა.შ. წესები) აღნიშნული ცენტრები რაიმე რეგულაციით არ ხელმძღვანელობენ.

**ქ.თბილისი.** - თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია "სიდატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში მყოფი ადამიანებისთვის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე პროექტის კვლევის საგანს.

#### **4.4. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "23" პუნქტით, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის ფორმით შექმნა და მათი წესდების დამტკიცება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, ასევე შემოქმედებითი კოლექტივები (ანსამბლები, გუნდები, ორკესტრები და სხვა). აღნიშნული დაწესებულებები "ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები), მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზ-

ღვრის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის #131 დადგენილების საფუძველზე ითვლება ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებად, რომელთა ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას და/ან რეორგანიზაციას, ასევე ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა. გამონაკლისებს წარმოადგენენ ზოგიერთი ეროვნული მნიშვნელობის სკოლისგარეშე დაწესებულებები, რომლებიც არ არიან ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში, არამედ პირდაპირ ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებიან. მათი ზუსტი ნუსხა განსაზღვრულია მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით.

სკოლამდელი აღზრდის საკითხები ასევე რეგულირდება "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით. ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სახელმწიფო ნორმებზე, რომელიც დღესდღეობით პრაქტიკულად არ მოქმედებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** საბავშვო ბაღების სფეროში ჩატარებული მოკვლევის შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოგვაწოდა საბავშვო ბაღების წესდება, სადაც აღწერილია ბაღების ფუნქციები, საგანმანათლებლო-საარმზრდელო პროცესი, პედაგოგებისა და მშობლების უფლება-მოვალეობანი, საბავშვო ბაღის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა, ბაღის გამგის ფუნქციები და სხვ.

**გორის მუნიციპალიტეტი.** ბავშვთა ბაღების სფეროში ჩატარებული მოკვლევის შედეგად გორის მუნიციპალიტეტიდან მოწოდებულ იქნა შემდეგი სახის ნორმები:

1. "კვების ორგანიზაცია ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში" რომელიც შედგენილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 4 მაისის #342 დადგენილების საფუძველზე. იგი მოიცავს შემდეგ ცხრილებს:
  - კვების პროდუქტების დანაკარგები თერმული დამუშავების დროს;
  - ვიტამინების დანაკარგები საკვები პროდუქტის კულინარული დამუშავების დროს;
  - ძირითად საკვებ პროდუქტებში ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების შემცველობა;
  - საკვები პროდუქტების ნორმები ბალის ასაკის ბავშვზე ყოველდღიურად გრამებში, დაწესებულებაში 9-10 საათის ხანგძლივობით ყოფნის მიხედვით;
  - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაციონის ქიმიური შემცველობა და ენერგეტიკული ღირებულება ბაგა-ბაღში ყოფნის ხანგძლივობის მიხედვით;
  - ჯანმრთელ ბავშვთა 10 დღიანი სამაგალითო მენიუ (1,5-3 წ.)
  - ჯანმრთელ ბავშვთა 10 დღიანი სამაგალითო მენიუ (3-6 წ.)
  - საბავშვო ბაღებში, საბავშვო ბაგებში, ბაგა-ბაღებისა და სანატორიული ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა კვების ნორმები.



2. "სანიტარული წესები და ნორმები". აღნიშნულ სანიტარულ წესებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:
- საქართველოს კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ";
  - საქართველოს კანონი "განათლების შესახებ";
  - საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ".

ზემოთხსენებული ინსტრუქცია შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები;
- სანიტარული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა;
- ჰიგიენური მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადგილმებარეობისადმი;
- მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობისადმი;
- მოთხოვნები შენობის აღჭურვისადმი;
- მოთხოვნები ჰაერცვლისა და ტემპერატურული რეჟიმისადმი;
- მოთხოვნები ხელოვნური და ბუნებრივი განათებისადმი;
- მოთხოვნები წყალმომარაგებისა და კანალიზაციისადმი;
- მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გამოყენებული არატიპური შენობისადმი;
- მოთხოვნები სასწავლი-ამღზრდელბითი პროცესის ორგანიზაციისადმი;

- მოთხოვნები მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციისადმი.

**ქ. რუსთავი.** საბავშვო ბაღებში სფეროში ჩატარებული მოკვლევის შედეგად ქ. რუსთავის საკრებულოდან მოწოდებულ იქნა „თვითმმართველი ქ. რუსთავის 2007 წლის 30 აპრილის #52 განკარგულებაში დამატების შეტანის და ქ. რუსთავში მოქმედი საბავშვო ბაგა-ბაღების რეორგანიზაციის შესახებ“ (იხ. დანართი #6), რაც გულისხმობს საბავშვო ბაღების ინსტიტუციური რეფორმირებას, როგორც ტექნიკური მახასიათებლების, ასევე ვაუჭერიზაციის დანერგვის კუთხით, თუმცა საკითხის სიახლიდან გამომდინარე, ქ. რუსთავის საკრებულოდან შესაბამისი მასალები სრულყოფილად ვერ იქნა მოპოვებული.

საკვლევ მუნიციპალიტეტებში სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულებები პრაქტიკულად ფუნქციონირებენ, თუმცა აღნიშნულ თვითმმართველ ერთეულებში ერთიანი, უნიფიცირებული წესი არ მოქმედებს, მაგალითისთვის შეგვიძლია შევადაროთ გორისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები. გორის მუნიციპალიტეტიდან მოწოდებულ იქნა ორი წესი (რომელიც შედგენილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 4 მაისის #342 დადგენილების საფუძველზე). უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წესები უცილობლად საჭიროებს გარკვეულ კორექციებს, თუმცა, როგორც ჩანს გარკვეული ინსტრუქცია გორის მუნიციპალიტეტში მაინც არსებობს, განსხვავებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტისაგან, საიდანაც მხოლოდ საბავშვო ბაღების წესდება იქნა მოწოდებული, რომელიც მხოლოდ ზოგად ორგანიზაციულ საკითხებს არეგულირებს.

**ქ.თბილისი.** ქ.თბილისის მთავრობის მიერ 2009 წლის 31 აგვისტოს მიღებულ იქნა #23.24.79 დადგენილება - "ქ.თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეფორმის განხორციელების შესახებ", ხოლო ამავე წლის 12 იანვარს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დეცენტრალიზაციისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დედაქალაქის მთავრობამ მიიღო #01.25.25 დადგენილება, რომლითაც მიზანშეწონილად ჩაითვალა ცალკეული ბაღების დაფინანსების პრინციპის შეცვლა, რისთვისაც შემუშავდა საპილოტე პროგრამა და შერჩეული იქნა 9 საბავშვო ბაგა-ბაღი. პროგრამის განხორციელების ვადად დადგინდა 2009 წლის 20 იანვრიდან 2009 წლის 31 აგვისტო (ჩათვლით).

აღნიშნული საპილოტე პროგრამის განხორციელებით მიღებული ეფექტიანი შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ საქართველოს კანონის 231 მუხლის საფუძველზე ქ.თბილისის მთავრობა ადგენს:

- გაგრძელდეს ქ.თბილისის მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის #01.25.25 დადგენილებით განსაზღვრული ბაგა-ბაღების საპილოტე პროგრამა 2009 წლის 30 სექტემბრის ბოლომდე.
- 2009 წლის 1 ოქტომბრიდან ქ.თბილისის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის, მათ შორის სსიპ საბავშვო ბაღი "იმედი"-ს (გარდა #1 ლოგოპედიური საბავშვო ბაღის და სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაღის) დაფინანსება განხორციელდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩარიცხულ თითოეულ ბავშვზე გათვლილი ნორმატივის მიხედვით.
- განისაზღვროს თითოეულ ბავშვზე გათვლილი ფინანსური წლიური ნორმატივი შემდეგი ოდენობით:

- ა) 200-მდე ბავშვთა კონტიგენტის მქონე საბავშვო ბაგა-ბაღისათვის პირველ 100 ბავშვზე - 1000 ლარი, ხოლო 100-დან 200-ის ჩათვლით - 800 ლარი;
- ბ) 200-დან 250-ის ჩათვლით ბავშვთა კონტიგენტის მქონე საბავშვო ბაგა-ბაღისათვის თითოეულ ბავშვზე - 800 ლარი (ა)პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა);
- გ) 250-დან 350-ის ჩათვლით ბავშვთა კონტიგენტის მქონე საბავშვო ბაგა-ბაღისათვის, პირველ 250 ბავშვზე - 800 ლარი, ხოლო 250-დან 350-ის ჩათვლით - 700 ლარი;
- დ) 350-ს ზევით ბავშვთა კონტიგენტის მქონე საბავშვო ბაგა-ბაღისათვის პირველ 250 ბავშვზე - 800 ლარი, 250-დან 350-ის ჩათვლით - 700 ლარი და 350-ის ზევით - 600 ლარი;

უნდა აღინიშნოს, რომ ქ.თბილისში საბავშვო ბაღების ინსტიტუციური განვითარების საკითხი ადგილიდან დაიძრა, თუმცა თანამედროვე საერთაშორისო დონის მქონე რეგულაცია სანიტარული წესების დაცვასთან დაკავშირებით და ბავშვთა ყოველდღიური კვების რაციონის შესახებ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ.

#### **4.5. გარეგანათება**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2მ" პუნქტით, გარეგანათების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე გარეგანათების უზრუნველყოფის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** როგორც გაირკვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით არანაირი ინსტრუქცია არ არსებობს, თუმცა გარეგანათების სამუშაოები ხორციელდება, რომლის დაგეგმარებისას შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ პირადი გამოცდილებით და ასევე განათების საშუალებების ფასის გათვალისწინებით. აღნიშნულ გარემოებაში განხორციელებული გარეგანათების სამუშაოების დოკუმენტური მასალა შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი #7).

**გორის მუნიციპალიტეტი.** მუნიციპალიტეტში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია, რეგულაცია;

**ქ.რუსთავი.** ქ.რუსთავში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია, რეგულაცია;

**ქ.თბილისი.** გარეგანათების უზრუნველყოფა ქ.თბილისში ხორციელდება ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ. გარეგანათების ქსელის რეკონსტრუქციის (მშენებლობის) დროს შესაბამისი სამსახური ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმებით:

- "დანადგართა მოწყობის წესები" (ენერგეტიკის სამინისტრო 1987 წ.);
- "სამშენებლო ნორმები და წესები" (სახლმშენი 1974 წ.);
- გარეგანათების ქსელის ექსპლოატაციის დროს შესაბამისი სამსახური იყენებს სახელმწიფო ენერგოზედამხედველობის მიერ 1984 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს - "მომხმარებელთა ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები" (1984 წ.).

აღნიშნული სერვისის დაგეგმარებისა და ტექნიკური გამართულობის საკითხი ჩვენს მიერ გამოკვლეულ სამ მუნიციპალიტეტში (ოზურგეთი, გორი, რუსთავი) ძალზედ რთულ მდგომარეობაშია. როგორც ბევრ სხვა სფეროში, გარეგანათების სერვისიც "თვითღირებულებით" ფუნქციონირებს, ყოველგვარი ნორმებისა და წესების დაუცველად. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სადაც მოვიპოვეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ლაითური, ნარუჯა, ბოხვაური, გურიანთა, ვაკიჯვარი და ა.შ. გარეგანათების მონტაჟისთვის საჭირო მოწყობილობების ხარჯთაღრიცხვა. როგორც მოწოდებული მასალის ანალიზიდან ჩანს, ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილია ყველა ის მოწყობილობა, რომელიც საჭიროა გარეგანათების გასამართად, თუმცა მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ვერავინ დაადასტურა აღნიშნული მოწყობილობების შესაბამისობა იმ ნორმებთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტებს ფიზიკურად არ გააჩნიათ შესაბამისი სახელმძღვანელოები. რაც შეეხება ქ.თბილისს, ამ შემთხვევაში მდგომარეობა შედარებით უკეთესია იმ თვალსაზრისით, რომ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურიდან მოწოდებულ იქნა ზემოთმოცემული ინსტრუქციები და წესები, თუმცა საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნული წესები და ტექნიკური მაჩვენებლები დიდწილად ჩამორჩება თანამედროვე საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს.

#### **4.6. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2მ" პუნქტის შესაბამისად, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება. გარდა

ორგანული კანონისა, სხვა არც ერთი სამართლებრივი აქტი ამ უფლებამოსილების და ამ სფეროში განსახორციელებელი საქმიანობის დეტალურ რეგულირებას არ ცნობს.

რაც შეეხება სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, ამ უფლებამოსილების ფარგლებში იგულისხმება სასაფლაოს ტერიტორიის დასუფთავება, შემოღობვა და სხვა ამგვარი ღონისძიებები, მ.შ. მართვის უფლებით გადაცემა კომპანიისთვის, რომელიც ამ სამუშაოებს შეასრულებს. კომპანია უნდა შეირჩეს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დაცვით, ხოლო ურთიერთობა ამ კომპანიასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უნდა დარეგულირდეს ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც ყველა აუცილებელი პირობა და ვალდებულება იქნება გაწერილი. მოვლა-პატრონობისთვის ადგილობრივმა თვითმმართველობამ შესაძლოა კომპანიას მომსახურების საფასური გადაუხადოს, ან კიდევ გაარემონტოს კედლები, ღობეები და ა.შ. სასაფლაო, ეს არის მიწა მასზე დამაგრებული ქონებით (მაგ. ღობით, დამხმარე შენობით და სხვა), ამიტომ ის საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებად აუცილებელ რეგისტრაციას საჭიროებს. კომპანიას არა აქვს უფლება ასეთ შემთხვევაში გაასხვისოს ცალკეული მიწის ნაკვეთები დაკრძალვის მიზნით და დააწესოს (აკრიფოს) ნებისმიერი სახის გადასახდელი. კომპანიის სარგებელი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადახდილი მომსახურების (მოვლა-პატრონობის) საფასური, რომელსაც ის მიიღებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** სასაფლაოების მოვლა-პატრონობას კოორდინაციას უწევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილი ა.ი.პ. "კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი". ისევე როგორც გარეგანათების სფეროში, აღნიშნულ სფეროშიც სამუშაოების ჩატარება სპონტანურად, ყოველგვარი დადგენილი ნორმისა და ინსტრუქციის გარეშე ხორციელდება და როგორც ა.ი.პ. "კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი"-დან მოწოდებული დოკუმენტიდანაც ჩანს, მასალათა ფასი ხდება უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი სამუშაოს დაგეგმარებისა და შესრულებისას (იხ. დანართი #8);

**გორის მუნიციპალიტეტი.** გორის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით არანაირი ინსტრუქცია, (რეგულაცია) არ არსებობს.

**ქ.რუსთავი.** ქ.რუსთავში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით არანაირი ინსტრუქცია, (რეგულაცია) არ არსებობს.

**ქ.თბილისი.** სასაფლაოების მოვლა-პატრონობა ქ.თბილისში რეგულირდება ქ.თბილისის საკრებულოს 2000 წლის 28 ივლისის #11-4 გადაწყვეტილებით "ქ.თბილისში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ". გადაწყვეტილებაში გაწერილია ის ძირითადი ნორმები და რეგულაციები, რომლებიც აღნიშნული სერვისის განხორციელებისათვის არის საჭირო. გადაწყვეტილება შედგება შემდეგი თავებისაგან:

1. **ზოგადი ნაწილი,** რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების არეალს.



2. **ტერმინთა განმარტება,** ამ მუხლში განმარტებულია წარმოდგენილ წესში მოცემული ტერმინები როგორცაა მაგ.: სასაფლაო, საქალაქო სასაფლაო, კერძო სასაფლაო, პანთეონი საქალაქო სასაფლაო მმართველი და ა.შ.
3. **ახალი სასაფლაოების გახსნა. სასაფლაოების ლიკვიდაცია.** მუხლი აწესებს ახალი სასაფლაოების გახსნისათვის გარკვეულ პირობებს და აკრძალავს. ამ მუხლის თანახმად ახალი სასაფლაო შეიძლება განლაგდეს ქალაქის გარეუბანში მინიმუმ 300 მეტრის მოშორებით საცხოვრებელი შენობებიდან. სასაფლაოსთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, მოქმედი სასაფლაოების გაფართოება და რეკონსტრუქცია საჭიროებს ქ.თბილისის მთავრობასთან შეთანხმებას. სასაფლაოების მოწყობა დაუშვებელია საკურორტო და დასასვენებელ ზონებში, წყალგაყვანილობის სისტემით დაკავებულ ტერიტორიაზე, ტბების და მდინარეების სანაპიროებზე და ა.შ. რაც შეეხება სასაფლაოების ლიკვიდაციას, აღნიშნული მუხლის შესაბამისად ლიკვიდაცია ხორციელდება მისი გაუქმებიდან სულ ცოტა 20 წლის გასვლის შემდეგ ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით. აქვე განსაზღვრულია სასაფლაოსთვის პანთეონის სტატუსის მინიჭება და გაუქმება რომელიც ასევე თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება.
4. **სასაფლაოს მართვა.** ამ მუხლის თანახმად სასაფლაოების მართვას შეიძლება ახორციელებდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ფიზიკური პირი, საქალაქო სასაფლაოების შემთხვევაში - ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულიც. სასაფლაოს მმართველი ახორციელებს სასაფლაოების მართვას, მათ

მოვლა-პატრონობასთან, გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ქმედებებს. სასაფლაოების მმართველის სტატუს ანიჭებს თბილისის მთავრობა. კონკურსის საფუძველზე გამარჯვებულ სუბიექტთან ფორმდება ხელშეკრულება.

**5. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა,** რაც მოიცავს სასაფლაოების გამწვანებას, წყლარადების სისტემის გამართვას, სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენასა და მომსახურებას და ა.შ.

**6. საფლავების ექსპლუატაცია. დაკრძალვა.** მუხლში განსაზღვრულია ისეთი ტექნიკური ნორმები როგორცაა, სამარის ზომა კვ.მეტრებში, სამარის სიღრმე სხვადასხვა ტიპის საფლავებისათვის და ა.შ. ასევე მოცემულია გარდაცვლილის შესახებ იმ საჭირო ინფორმაციათა ნუსხა, რომელიც ჭირისუფალმა უნდა მიაწოდოს სასაფლაოს მმართველს.

**7. საფლავის სახეობა.** ამ მუხლში განსაზღვრულია საფლავის სახეობები, საფლავი შეიძლება იყოს:

- ერთ ან ორ ადგილიანი;
- საგვარეულო სამარხი;
- სამძო სამარხი.

ასევე განსაზღვრულია სამარხების ოდენობა სხვადასხვა ტიპის საფლავებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტში ეს სფერო, რეგულაციებისა და ნორმების არსებობის თვალსაზრისით მეტნაკლებად გამართულია.

ამჟამად დედაქალაქში აღნიშნულ სერვისს მუნიციპალური საწარმო შპს ჰერმესი ახორციელებს.

როგორც აღწერიდან ჩანს წესებისა და ნორმების არქონის თვალსაზრისით გამონაკლისს არც სასაფლაოების მოვლა-პატრონობა წარმოადგენს, რაც ზოგადად წითელ ხაზად გასდევს ჩვენი კვლევის ობიექტების უმრავლესობას. შეგვიძლია მაგალითისთვის კვლავ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დავასახელოთ და იქ არსებული მუნიციპალიტეტის გამგეობის ა.ი.პ. "კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრის" მიერ სოფ. მერიასა და ლაითურში სასაფლაოების ღობის შეკეთება. ამ კონკრეტული სამუშაოს შესასრულებელი დოკუმენტაცია შედგება განმარტებითი ბარათისაგან, სადეფექტო აქტისაგან, შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურისა და ხარჯთაღრიცხვისაგან, თუმცა ამ შემთხვევაშიც პრობლემას წარმოადგენს იმ ტექნიკური ნორმებისა და ინსტრუქციების არარსებობა, რასაც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად შემენილი ესა თუ ის მასალა-მოწყობილობა. აბსოლუტურად იდენტურია მდგომარეობა გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში. რაც შეეხება თბილისს, როგორც აღწერილობით ნაწილში არის მითითებული, ქ.თბილისში სასაფლაოების მოვლა-პატრონობას ახორციელებს მუნიციპალური შპს ჰერმესი.

#### **4.7. სახანძრო უსაფრთხოება**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2მ" პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სფერო ძალზედ რთულ მდგომარეობაშია, მუნიციპალიტეტში არსებობს რამდენიმე ერთეული ამორტიზირებული სახანძრო მანქანა, რომელიც სერიოზული ხარვეზებით და დაბრკოლებებით ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. რაც შეეხება ნორმებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში, მოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მსგავსი დოკუმენტი ოზურგეთის სახანძრო სისტემაში არ არსებობს;

**გორის მუნიციპალიტეტი.** გორის მუნიციპალიტეტში იგივე მდგომარეობაა, როგორც ოზურგეთში, ანუ სახანძრო უსაფრთხოების არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია), არ არსებობს;

**ქ.რუსთავი.** სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქ.რუსთავის შესაბამისი სამსახური ხელმძღვანელობს სახანძრო დაცვის სამსახურის პროფესიული საქმიანობის განმსაზღვრელი შემდეგი საკანონმდებლო ბაზით:

- 2005 წლის 11 ნოემბრის #2088 საქართველოს კანონი "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ";
- საქართველოს კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" (2007 წლის 8 ივნისი);
- საქართველოს კანონი "საშიში საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების შესახებ";
- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სახანძრო დაცვის სამსახურის დებულება;

- საქართველოს შსს მინისტრის ბრძანება #1062 "ინსტრუქცია საქართველოში სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზაციისა და განხორციელების შესახებ";
- საქართველოს შსს მინისტრის ბრძანება #1254 "სახანძრო დაცვის სამსახურის ორგანიზაციის წესდება";
- საქართველოს შსს მინისტრის ბრძანება #449 "საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები";
- ასევე ზემოაღნიშნული სამსახური სარგებლობს სხვადასხვა დანიშნულებისა და მნიშვნელობის შენობა-ნაგებობისათვის (წარმოებისათვის) განსაზღვრული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით (სამშენებლო ნორმები და წესები).

**ქ.თბილისი.** ქ.თბილისში მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება ქ.თბილისის "საგანგებო სიტუაციათა სამსახურის" მიერ, რომელიც თავისი ფუნქციის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი რეგულაციებითა და ნორმებით:

- საბჭოთა სტანდარტი СНИП 2.01.02-85 -"ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები";
- 2005 წლის 11 ნოემბრის #2088 საქართველოს კანონი "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ";
- საქართველოს შსს მინისტრის 2006 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #1062 "საქართველოში სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზაციისა და განხორციელების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;"

- საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 27 მარტის ბრძანება #449 "საქართველოში მოქმედისახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ";
- ყოფილი სსრკ-სა და დსთ-ს ქვეყნების სტანდარტები, სამშენებლო ნორმების და წესების ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები, თანახმად 2006 წლის 24 თებერვლის #45 საქართველოს მთავრობის დადგენილებისა - "საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტაციების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ".

როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, მდგომარეობა ამ ნაწილშიც რთულია. ოზურგეთსა და გორის მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ არანაირი რეგულაცია სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, აქვთ რამდენიმე ერთეული ამორტიზირებული სახანძრო მანქანა, რომელთა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში გამოყენება დიდ რისკთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება რუსთავსა და თბილისს, მათ გააჩნიათ სხვადასხვა სახის რეგულაციები, თუმცა ზოგიერთი ინსტრუქცია, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ აშკარად მოძველებულია და საჭიროებს შეცვლას თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესაბამისად. უნდა ითქვას, რომ ტექნიკური აღჭურვის თვალსაზრისით თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია.

#### **4.8. ავტომანქანების პარკირება**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2მ" პუნქტის შესაბამისად, ავტომანქანის პარკირების ადგილის განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ავტომანქანის პარკირების ადგილის განსაზღვრის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**გორის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**ქ.რუსთავი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში ქ.რუსთავში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**ქ.თბილისი.** ავტომანქანის პარკირების ადგილის განსაზღვრა წარმოადგენს ქ.თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის კომპეტენციას. სამსახურიდან მოპოვებული მასალების მიხედვით ქ.თბილისის ტერიტორიაზე არსებობს პარკირების, დგომის მეთოდის 3 ხერხი:

- პარალელური (როცა გზის სავალი ნაწილი დახაზულია წყვეტილი ხაზით);
- 45 გრადუსიანი (როცა გზის სავალი ნაწილი დახაზულია უწყვეტი ხაზით);
- მართობული დგომით (როცა გზის სავალი ნაწილი დახაზულია უწყვეტი ხაზით).

აღნიშნული დგომის მეთოდები დგინდება ქუჩის გამტარუნარიანობისა და სატრანსპორტო ნაკადების შეუფერხებელი მოძრაობის გათვალისწინებით, ამ წესიდან გამომდინარე, ქ.თბილისის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ადგილები განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

- პარალელური დგომით პარკირების დროს, შესაბამისი საგზაო მონიშვნა კეთდება 2.5 მ. X 7.5 მ.
- მართობული და 45 გრადუსიანი დგომისას 2.5 მ. X 5.0 მ.

ქ.თბილისში ავტომანქანების პარკირებას არეგულირებს კერძო კომპანია "სი-ტი პარკ"-ი, რომელიც ადგენს ავტომანქანის დგომის მეთოდებს, პარკირების საფასურს და გადახდის წესებს, და ტროტუარზე მანქანის გაჩერების წესებს. პარკირების წესების დარღვევის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას.

ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი პარკირების ადგილებზე დგომისას:

- დარღვეულია დგომის მეთოდი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალება საფასურის გადახდის გარეშე დგას ფასიან ავტოსადგომზე 9 სთ-ზე მეტ ხანს;
- ავტოსატრანსპორტო საშუალება გაჩერებულია დგომის/გაჩერების ამკრძალავი ნიშნის მოქმედების ზონაში.

ზემოთ მოცემული აღწერიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პარკირების საკითხი აბსოლუტურად დაურეგულირებელია ოზურგეთის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში, რაც იწვევს მთელ რიგ შეფერხებებს ავტომანქანების მოძრაობაში, რაც ხელს უწყობს საცობების წარმოქმნას. ოზურგეთის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში არათუ რაიმე სახის წესი, არამედ საკრებულოს დადგენილებაც კი არ არსებობს, რომლითაც "უხარისხოდ", თუმცა გარკვეულწილად მაინც დარეგულირდებოდა აღნიშნული სფერო.

თბილისში პარკირების საკითხი შედარებით დარეგულირებულია, ქ.თბილისის მერიიდან მოწოდებული მასალაც ცხადყოფს, რომ



შესაბამის სამსახურს გააჩნია ინსტრუქცია პარკირების დაგეგმარებასთან და მოწყობასთან დაკავშირებით.

#### **4.9. ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია**

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2დ" პუნქტის შესაბამისად, ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად "ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, მათი ცენტრები, ქალაქები, დაბები, თემები, სოფლები, ქუჩები, მოედნები პარკები და სხვა მსგავსი ობიექტები" მიეკუთვნებიან გეოგრაფიულ ობიექტებს, რომელთა სახელდება, სახელწოდებათა ნორმალიზება, გამოყენება, რეგისტრაცია, აღრიცხვა და დაცვა განისაზღვრება "გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონით. მაგრამ ეს სფერო სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული. კანონით დადგენილია მხოლოდ ძალზედ ზოგადი წესები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**გორის მუნიციპალიტეტი.** აღნიშნული სფეროს რეგულაციის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო იმუშავებს განკარგულებას, რომელსაც ჯერ-ჯერობით სრული სახე არ აქვს

მიღებული, თუმცა ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის თვალსაზრისით მასში გარკვეული მუხლები უკვე ფორმულირებულია:

1. მიზანი და ამოცანები;
2. ქუჩების, მოედნების, პარკების და სკვერების სახელწოდებების მინიჭების ორგანიზება;
3. ქუჩების, მოედნების, პარკების და სკვერების სახელწოდებების შესარჩევად კომისიის მიერ გასათვალისწინებელი მოთხოვნები და ვალდებულებები;
4. კომისიის უფლებამოსილებები;
5. კომისიის თავჯდომარე;
6. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკური უზრუნველყოფა;
7. ცვლილებების დამატების და დავის განხილვის წესი.

აღნიშნული წესი მიზნად ისახავს გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ფარგლებში დასახლებულ პუნქტებში იმ ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერებისადმი სახელწოდების მინიჭებას, რომლებიც ამ წესის მოქმედების მომენტიდან არიან უსახელო ან მათი სახელწოდებები სრულ დისჰარმონიას ჰქმნიან ქართული სახელმწიფოს ტრადიციებთან და დღევანდებლობასთან მიმართებაში.

**ქ.რუსთავი.** აღნიშნული სერვისის ფარგლებში ქ.რუსთავში არ არსებობს არანაირი ინსტრუქცია (რეგულაცია);

**ქ.თბილისი.** ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია ხორციელდება ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე. ამა თუ იმ ქუჩის

თუ მოედნის სახელდებისა და ნუმერაციის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის საკრებულო, რომელსაც ადასრულებს ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. სხვა რაიმე დამატებითი ნორმა ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის სფეროში ქ.თბილისის მერიიდან არ იქნა მოწოდებული.

ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის მიმართულებით ხაზგასმის ღირსია გორის მუნიციპალიტეტის ძალისხმევა, რომ შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი/წესი, რომელიც იქნება სახელმძღვანელო საკრებულოს შესაბამისი კომისიისთვის, როცა ის გადაწყვეტს ამა თუ იმ ქუჩისა თუ მოედნის სახელდებას თუ ნუმერაციას. ოზურგეთსა და რუსთავში ამ მიმართულებით აბსოლუტური უძრაობაა.

ზოგადად, როგორც კვლევის შედეგად გაირკვა, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოები მაინც იკრიბება და თითოეული საკრებულოს წევრის პირადი შეხედულებით ("შინაგანი მრწამსით") ხდება გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, არ არსებობს კოორდინაცია მუნიციპალიტეტს, სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურსა და საპატრულო პოლიციას შორის, რაც აუცილებელია ქუჩებისა თუ მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის დროს.

#### 4.10. დასუფთავება და ნარჩენების გატანა

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია დასუფთავებასთან და ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით რამდენიმე მთავარ ექსკლუზიურ უფლებას მოიცავს:

- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;
- მოსაკრებლების შემოღება და მისი განაკვეთების დადგენა "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;
- დაწესებული მოსაკრებლების ამოღება ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაკრებლების სამსახურის მეშვეობით.

"ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდევენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად. ინსტრუქცია მოიცავს მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის დეტალურ წესებს, მ.შ. მოსაკრებლის ქვითრის ფორმასაც. ინსტრუქცია თანდართული ქვითრის ფორმასთან ერთად უნდა დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილებით, რათა ის იქცეს შესასრულებლად სავალდებულოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირებისა და მოქმედი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს.

ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდებიან წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი მოსაკრებელი გადაიხდებიან მომსახურების მთლიანად ან მისი ნაწილის მიღების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს შეუძლია კონკრეტულად განსაზღვროს ინსტრუქციით, თუ ვის, როდის და რა მოცულობით გადაახდებიან დასუფთავების მოსაკრებელს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის კუთხით საკვლევ მუნიციპალიტეტებში შემდეგი მდგომარეობა გამოვლინდა:

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აღნიშნული სფეროს მოწესრიგება-რეგულირებაზე მთლიან პასუხისმგებლობას იღებს ქართველი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით.

**გორის მუნიციპალიტეტი.** დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სფეროში გორის მუნიციპალიტეტში არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია ან ნორმა;

**ქ.რუსთავი.** დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სფეროში რუსთავის მუნიციპალიტეტში არ არსებობს რაიმე სახის წესი ან ნორმა, რითაც შეიძლება ხელმძღვანელობდეს შესაბამისი სამსახური;

**ქ.თბილისი.** რაც შეეხება დედაქალაქში დასუფთავებასა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, ქ.თბილისის მერიიდან მოწოდებულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. საქართველოს დედაქალაქის - ქ.თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის #1-1 გადაწყვეტილება;
2. ქ.თბილისის მთავრობის 01.12.2006 წლის #02.17.62 დადგენილება "დედაქალაქში დაგვა-დასუფთავებისა და სისუფთავის უზრუნველყოფის, ნარჩენების მართვის, ამ მიზნით ოპერატორის შერჩევის, ქ.თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე".

როგორც ქ.თბილისის მერიიდან გვაცნობეს, დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და შემდგომ მათი გაუვნებლობა-უტილიზაციის სამუშაოებს ახორციელებს ქ.თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორები.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები ზოგადი ხასიათის დოკუმენტებს წარმოადგენენ და ისინი არ მოიცავენ რაიმე კონკრეტულ ტექნიკურ წესსა და რეგულაციას.

## 5. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი

### 5.1. სტანდარტების საკანონმდებლო რეგულირება ევროკავშირში

მომხმარებლის ერთ-ერთ ძირითად უფლებას შექმნილი პროდუქციის ან მიღებული მომსახურების უსაფრთხოების უფლება წარმოადგენს. მომხმარებლის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, მის უსაფრთხოებას შექმნილი ნაწარმი ან მიღებული მომსახურება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს.

მომხმარებლის დაცვის ევროპული თანამეგობრობის პირველივე (1975 წლის) პროგრამაში ჩამოთვლილია პრიორიტეტული პროდუქციის ტიპები მომხმარებლის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

პროდუქციის უსაფრთხოებაზე მომხმარებლის უფლების უზრუნველყოფა შემხვედრი ვალდებულებების საშუალებით ხორციელდება. კერძოდ:

- მწარმოებელი ვალდებულია ბაზარზე მხოლოდ უსაფრთხო პროდუქცია განათავსოს;
- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს/აკონტროლოს, რომ ბაზარზე მხოლოდ მომხმარებლისთვის უსაფრთხო პროდუქცია იყოს განთავსებული.

ტრადიციულად, ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გავრცელებულ საშუალებას თითოეული ტიპის ნაწარმისთვის/მომსახურებისათვის სტანდარტის დადგენა წარმოადგენდა. პროდუქცია, რომელიც სტანდარტს არ შეესაბამებოდა, ბაზარზე არ

დაიშვებოდა. ანუ სტანდარტი, ფაქტობრივად, კანონის დონის დოკუმენტი იყო, სტანდარტთან შესაბამისობა კი - სავალდებულო.

გავიხსენოთ, რომ ევროპული ეკონომიკურ თანამეგობრობას ერთ-ერთი ძირითად შემადგენელი კომპონენტს ერთიანი ბაზარი წარმოადგენს. თანამეგობრობის სადამფუძნებლო დოკუმენტით ერთიანი ბაზრის შიგნით გაუქმდა საბაჟო გადასახადები და შეზღუდვები, აიკრძალა პროდუქციის გადაადგილების რაიმე სახის რაოდენობრივი შეზღუდვა, ან ასეთი შეზღუდვის ეფექტის მქონე რაიმე სახის რეგულაცია. გამონაკლისები დაიშვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კონკრეტული ტიპის საქონლის იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვა აუცილებელია საზოგადოებრივი უსახრთხოებისთვის, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისთვის, რაიმე ისტორიული ან კულტურული ფასეულობების უსაფრთხოებისთვის და ა.შ. ცხადია, პროდუქციის თითოეული ტიპისთვის დადგენილი სავალდებულო ეროვნული სტანდარტები ქვეყნებს შორის პროდუქციის თავისუფალი გადაადგილებისთვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენდა.

ერთი და იმავე ნაწარმისთვის/მომსახურებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში დაწესებული სტანდარტები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ეს განსხვავებები ხშირად წმინდა ისტორიული მიზეზებით აიხსნებოდა, ზოგჯერ კი სწორედ უცხოური პროდუქციისგან ეროვნული ბაზრის დაცვაზე იყო მიმართული. ევროპის თანამეგობრობათა სასამართლოში არაერთი საქმე იქნა აღძრული ეროვნული სტანდარტების გამოყენების წინააღმდეგ, იმ საფუძვლით, რომ მათი გამოყენება ერთიანი ბაზრის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.

ეროვნული სტანდარტები, თავისი დაწვრილმანებული მოთხოვნებით, პროდუქციის თავისუფალი გადაადგილებისათვის ბარიერებს ქმნიდა. არადა მათი სრული გაუქმება მომხმარებლის უსაფრთხოებისთვის იყო დაუშვებელი. აუცილებელი იყო ერთობლივი,



ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტების მიღება. ეს პროცესი მიმდინარეობდა, თუმცა ძალზედ ნელა - ახალი, ყველა ქვეყნისთვის მისაღები სტანდარტები ყველა ცალკეული პროდუქტისთვის უნდა შემუშავებულიყო, რაც დიდ დროს საჭიროებდა. ამავე დროს ძალზედ რთული იყო მათი დამტკიცება: თანამეგობრობის საბჭოს იმდროინდელი პროცედურით ტექნიკური ჰარმონიზაციის დირექტივების დასამტკიცებლად ყველა წევრი ქვეყნის (შესაბამისი სფეროს) მინისტრის თანხმობა იყო სავალდებულო.

ამიტომ 1985 წელს ევროპული თანამეგობრობის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაადგინა ახალი მიდგომა პროდუქციის სტანდარტებისადმი. ძირითადი ნოვაცია იმაში მდგომარეობდა, რომ ტექნიკური სპეციფიკაციები და სტანდარტები (როგორც ეროვნული, ასევე ევროპული) ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე დოკუმენტებად გამოცხადდა. რეზოლუციაში ნათქვამია: მწარმოებელს შეუძლია აწარმოოს პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია ამტკიცოს, რომ მისი პროდუქცია უსაფრთხოა. რეზოლუციის მიხედვით თანამეგობრობის დირექტივებით უნდა დადგინდეს უსაფრთხოების არსებითი მოთხოვნები თითოეული ტიპის პროდუქციისთვის. ევროპაში მოქმედ სტანდარტიზაციის ორგანიზაციებს მათ მიერ შემუშავებულ სტანდარტებში დირექტივით დადგენილი უსაფრთხოების არსებითი მოთხოვნების გათვალისწინების მითითება მიეცათ. დადგინდა, რომ გამოქვეყნდება იმ სტანდარტების სიები, რომელიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

პროდუქციის შესაბამისობა ასეთ სტანდარტებთან ერთ-ერთი საშუალება იქნება მწარმოებლისთვის იმის სამტკიცებლად, რომ მისი პროდუქცია უსაფრთხოების მოთხოვნებს შეესაბამება. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ეროვნული მაკონტროლებელი ორგანოები ვალდებული არიან ჰარმონიზებულ სტანდარტთან შესაბამისობაში მყოფი ნაწარმი უსაფრთხოდ მიიჩნიონ.

დაკონკრეტებულია აგრეთვე, რომ იმისათვის, რომ მეწარმეს ჰქონდეს თავისი ნაწარმის უსაფრთხოების მტკიცების სხვადასხვა საშუალებებს შორის არჩევანის შესაძლებლობა, პროდუქციის ბაზარზე გატანამდე მისი ყოველგვარი წინასწარი სავალბულო შემოწმება ან ნებართვის გაცემის პროცედურა უნდა გაუქმდეს. თუმცა ეროვნულ ორგანოებს სრული უფლება აქვთ შეამოწმონ ბაზარზე განთავსებული პროდუქცია და თუ აღმოჩნდა, რომ პროდუქცია უსაფრთხო არ არის, ამოიღონ იგი ბაზრიდან (ან, თუ ასეთი ინფორმაცია წინასწარ აქვთ, - არ დაუშვან პროდუქცია ბაზარზე).

ამ რეზოლუციის საფუძველზე დღემდე 20-მდე ტიპის საქონლის უსაფრთხოების არსებითი მოთხოვნების და ამ უსაფრთხოების შემოწმება-დადასტურების პროცედურების აღმწერი დირექტივები მომზადდა. მათი ჩამონათვალი სტატიის დანართშია მოცემული. აქ გვინდა კიდევ ერთხელ განვმარტოთ, თუ რა განსხვავებაა კონკრეტულ დირექტივაში ჩამოყალიბებულ უსაფრთხოების მოთხოვნებსა და მის საფუძველზე შემუშავებულ სტანდარტებს შორის: "ახალი მიდგომის" დირექტივა, როგორც წესი, პროდუქტის ტექნიკურ აღწერილობას კი არ იძლევა, არამედ აყალიბებს ზოგად მოთხოვნებს ნაწარმის დიზაინისადმი (მაგრამ არ გვთავაზობს კონკრეტულ გადაწყვეტას).

პროდუქციის სტანდარტებს კი ეს ზოგადი მოთხოვნები უფრო კონკრეტული, ტექნიკური აღწერილობის დონეზე დაჰყავს.

იმ პროდუქციისთვის, რომლისთვისაც "ახალი მიდგომის" დირექტივები ჯერ არ შემუშავებულა, უსაფრთხოების მოთხოვნებს 92/59/EEC დირექტივა არეგულირებს. ფორმალური განმარტებით პროდუქცია ითვლება "უსაფრთხოდ", თუკი ნორმალურ (ან წინასწარ გათვლად) პირობებში მისი გამოყენება სარისკო არ არის, ან "პროდუქციის ხასიათთან შედარებით მინიმალური რისკის მატარებელია" და "უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის

მკაცრ მოთხოვნებს აკმაყოფილებს". ეს განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დებულება იმის შესახებ, თუ როგორ მოწმდება პროდუქციის "უსაფრთხოება". ბუნებრივია, აქ პირველ პლანზე "ახალი მიდგომის" დირექტივებთან და შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობა გამოდის. მაგრამ თუ კონკრეტული პროდუქციისთვის ასეთი დოკუმენტები არ არსებობს, პროდუქციის უსაფრთხოება ფასდება მისი შესაბამისობით:

- ევროკავშირის რეკომენდაციებთან ამ ტიპის პროდუქციის უსაფრთხოების შეფასებასთან
- დაკავშირებით;
- ეროვნულ 5 სტანდარტთან, რომელიც ევროპულ სტანდარტს არ შეესაბამება;
- კარგი პრაქტიკის მაგალითებთან (უსაფრთხოების კუთხით);
- ტექნოლოგიის თანამედროვე დონესთან;
- მომხმარებელთა მოლოდინებთან (უსაფრთხოების კუთხით).

როგორც აღვნიშნეთ, "ახალი მიდგომის" რეზოლუციით აიკრძალა ბაზარზე დაშვებისთვის ნაწარმის წინასწარი სავალდებულო შემოწმება საჯარო ორგანოების მიერ. სანაცვლოდ, მწარმოებელს დაევალა უზრუნველყოს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული ნაწარმი უსაფრთხო იყოს, ანუ უსაფრთხოების არსებით მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. უსაფრთხოების მოთხოვნებისადმი.

პროდუქციის შესაბამისობის დადასტურების (ატესტაციის) მისაღებ საშუალებებად დაშვებული იქნა:

- სერტიფიცირება და შესაბამისი ნიშნის დასმა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ;

- შემოწმება (ტესტირება) დამოუკიდებელი ორგანოს მიერ;
- შესაბამისობის შეფასება და დეკლარირება თავად მწარმოებლის მიერ;
- სხვა მეთოდი, რომელიც კონკრეტული პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნების დამდგენ დირექტივაში შეიძლება იყოს მითითებული.

რეზოლუციაში ზოგადად დეკლარირებულ ამ პროცედურებს ცხოვრებაში გასატარებლად მეტი დაკონკრეტება ესაჭიროებოდა. 1989 წელს თანამეგობრობამ მიიღო რეზოლუცია შესაბამისობის შეფასებისადმი გლობალური მიდგომის შესახებ. 1990 წელს კი ამ რეზოლუციის შესასრულებლად მიღებული იქნა 93/465/EEC გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა უსაფრთხოების მოთხოვნებისადმი პროდუქციის შესაბამისობის დადასტურების რამდენიმე ალტერნატიული სქემა (მოდული), რომელთა შორის მეწარმეს აქვს არჩევანის თავისუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ "ახალი მიდგომის" კონცეფცია და შესაბამისი დირექტივები ადგენს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ნაწარმი უნდა აკმაყოფილებდეს იმისთვის, რომ ბაზარზე იქნეს დაშვებული. პრაქტიკაში ეს დირექტივები აქტუალურია ახალი, ან სერიოზულად მოდიფიცირებული პროდუქციისთვის. რაც შეეხება ბაზარზე უკვე არსებული პროდუქციის კონტროლს, ამ საკითხს არეგულირებს 1992 წლის 92/59/EEC დირექტივა პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ.

92/59/EEC დირექტივის მიხედვით, თანამეგობრობის ქვეყნები ვალდებული არიან შექმნან ბაზარზე განთავსებული პროდუქციის მომხმარებლისთვის უსაფრთხოების შემმოწმებელი საჯარო ორგანო. დარღვევების (ანუ საფრთხის შემცველი პროდუქციის) აღმოჩენის შემთხვევაში ამ ორგანოს დამრღვევის დასჯის უფლებამოსილებაც

უნდა გააჩნდეს. დამრღვევის დასჯის ღონისძიებები უნდა იყოს ეფექტური (შედგენიანი) და ადეკვატური (პროპორციული).

დირექტივაში მითითებულია, თუ კონკრეტულად რა უფლებამოსილებანი უნდა გააჩნდეთ პროდუქციის უსაფრთხოების შემოწმებელ ორგანოებს.

ბაზრის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის უნდა არსებობდეს პროდუქციის შემოწმების სექტორული პროგრამები პროდუქციის კატეგორიების და საშიშროებების მიხედვით; უნდა ხორციელდებოდეს თავად ამ შემოწმების პროცედურების მონიტორინგი, პერიოდული შეფასება და დახვეწა; მომხმარებლებს ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წარადგინონ საჩივრები მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის თაობაზე. ყველა იმ შემთხვევაში, როცა თანამეგობრობის წევრი ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას რაიმე ნაწარმის ბაზარზე არდაშვების, ან ბაზრიდან ამოღების ან მომხმარებლიდან გამოთხოვის შესახებ, მან უნდა გაუზიაროს შესაბამისი შეტყობინება ევროკომისიას, რომელიც ინფორმაციის სწრაფი გაცვლის სისტემის (RAPEX) მეშვეობით აწვდის მას თანამეგობრობის ყველა ქვეყნის სათანადო ორგანოებს, რათა მათაც დროულად შეძლონ შესაბამისი ზომების მიღება. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე: როგორც აღვნიშნეთ, ახალი მიდგომის თანახმად მეწარმე არ არის ვალდებული ნაწარმის ბაზარზე განთავსებისთვის რაიმე ნებართვა აიღოს. მაგრამ იგი ვალდებულია, ნაწარმის ბაზარზე განთავსებამდე შეამოწმოს მისი შესაბამისობა უსაფრთხოების მოთხოვნებისადმი, იქონიოს ამ შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაუსვას ნაწარმს შესაბამისობის ნიშანი. შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ შეიწუხებს თავს მეწარმე შესაბამისობის დეკლარაციის მომზადებაზე პროდუქციის ბაზარზე განთავსებამდე, თუკი განთავსებისთვის ამ დეკლარაციის წარდგენა რაიმე საჯარო ორგანოში საჭირო არ არის?

საქმე იმაშია, რომ ბაზრის შემმოწმებელ ეროვნულ ორგანოებს ყოველ მომენტში აქვთ უფლება შეამოწმონ მეწარმის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის უსაფრთხოება და ამისათვის მათ უფლება აქვთ მოითხოვონ მეწარმისგან უსაფრთხოებაზე შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ ასეთი დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ არ იქნა წარმოდგენილი, მეწარმე დადანაშაულებული იქნება იმაში, რომ მას არ გაუმზადებია ეს დოკუმენტაცია პროდუქციის ბაზარზე განთავსებამდე, რაც კანონმდებლობის დარღვევაა და მეწარმეს სერიოზული ჯარიმების გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, თუ პროდუქციის უსაფრთხოების მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისად დამაჯერებელი არ იქნა, ბაზრის შემმოწმებელი ორგანო წამოიწყებს პროდუქციის ტესტირება-შემოწმების პროცედურებს, რომელთა მიმდინარეობის პერიოდში დროებით შეჩერდება ამ პროდუქციის დაშვება ბაზარზე.

ბუნებრივია, მეწარმეს ეს მდგომარეობა სერიოზულ ზარალს უქადის. ამიტომ ცდილობენ მეწარმეები, რომ მათი პროდუქციის უსაფრთხოება რაც შეიძლება ავტორიტეტული სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ იყოს დადასტურებული. თუმცა, რა თქმა უნდა, თუკი ბაზრის შემმოწმებელ ორგანოს გაუჩნდება ეჭვი პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, არც ერთი ორგანოს სერტიფიკატი მისთვის არ წარმოადგენს შეფერხებას შემოწმების ჩატარებისთვის. ბუნებრივია ავტორიტეტული სერტიფიკატის მქონე პროდუქცია საშუალოდ უფრო იშვიათად მოწმდება, ვიდრე სხვა პროდუქცია. ამდენად, მიუხედავად სიძვირისა, მეწარმეები დაინტერესებულნი არიან ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ თავიანთი პროდუქციის უსაფრთხოების სერტიფიცირებაში.

## 5.2. საჯარო სერვისები საზღვარგარეთის ქვეყნებში

საჯარო სერვისების სტანდარტების საერთაშორისო გამოცდილების განხილვის პროცესში დადგინდა, რომ ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია ტერიტორიული მოწყობა და შესაბამისად საჯარო ფუნქციებიც. უმეტესობა ქვეყნებში თვითმმართველობებს კომუნალური საკითხების მოგვარება ევალება და რიგ ქვეყნებში მათი სახელწოდებაც პირდაპირ მიუთითებს ამაზე, მაგალითად გერმანიაში თვითმმართველობა "Komunalle Selbstverwaltung"-ად იწოდება. მათი ფუნქციები კანონით არის განსაზღვრული და უზრუნველყოფილია ამ ფუნქციების თვითმმართველობის მიერ დამოუკიდებლად განხორციელება.

თვითმმართველობების ფუნქციების განხილვის დროს შესაძლებელია მათი სერვისების დაჯგუფება:

### ა) ტექნიკური სახის სერვისები:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და უტილიზაცია;
- ქუჩების დასუფთავება;
- გარეგანათება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობა;
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სხვა.

### ბ) სოციალური სერვისები:

- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- კულტურა და სხვა.

### გ) ადმინისტრაციული სერვისები:

- მშენებლობის ნებართვის გაცემა;

- საჯარო ინფორმაციის გაცემა;
- გარკვეული სახის ნოტარიული მომსახურება;
- ქონების დაკანონება;
- მუნიციპალური ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მუნიციპალური სერვისების სიმრავლიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ საჯარო სერვისი "საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და უტილიზაცია" სხვადასხვა ქვეყნებისა და ქალაქების მაგალითზე.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის სწრაფი განვითარება და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნარჩენების რაოდენობის ზრდაზე.

დადგენილია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მიერ ყოველდღიურად 8 მლრდ კგ სხვადასხვა სახის ნარჩენი წარმოიქმნება, რაც 240 მლრდ კგ-ს შეადგენს თვეში. მაღალი შემოსავლების მქონე ინდუსტრიული საზოგადოება უფრო მეტ ნარჩენებს წარმოქმნის, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა. მაგალითად, ნიუ-იორკის თითოეული მოსახლე თავის წონასთან შედარებით ყოველთვიურად 9-ჯერ მეტ ნარჩენს წარმოქმნის, ხოლო მანილის თითოეული მოსახლე თავის წონასთან შედარებით - 2,5-ჯერ მეტს.

**იტალიის** დედაქალაქ რომში ყოველწლიურად 1 600 000 ტონაზე მეტი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი წარმოიქმნება. ამ ქვეყანაში თითოეულ მოსახლეზე წელიწადში საშუალოდ 570 კგ. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი მოდის.

**უკრაინის** დედაქალაქში ყოველდღიურად წარმოიქმნება 11 000 მ<sup>3</sup> მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რაც წლის განმავლობაში 4 015 000



მ<sup>3</sup>-ს შეადგენს, რომლისაგან მხოლოდ 13-14% ხვდება მეორად გადამუშავებაში.

**რუსეთის** ფედერაციაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა ორჯერ გაიზარდა.

დადგენილია, რომ მსოფლიოს მასშტაბით წარმოქმნილი საქალაქო (მუნიციპალური) ნარჩენების მეხუთედს საოჯახო მეურნეობის ორგანული ნარჩენები შეადგენს. განვითარებულ ქვეყნებში შემოდგომაზე ფოთოლცვენის პერიოდში მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა ორმაგდება. განვითარებად ქვეყნებში მუნიციპალური ნარჩენების 40-80% დიდი რაოდენობით წყლის შემცველი საოჯახო მეურნეობის, კვებისა და ბაზრების ნარჩენებია, რის გამოც მათი ტრანსპორტირება და წვა საკმაოდ გართულებულია.

მთელი რიგი გამოკვლევებით დადგენილია, რომ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეიცავს:

- 32% საკვები პროდუქტების ნარჩენებს;
- 30% ქაღალდსა და მუყაოს;
- 5-16% პლასტმასას;
- 4-10% საფეიქრო ნაწარმს;
- 4-8% სხვადასხვა სახის ლითონს;
- 8% მინას;
- 4% სხვა ფრაქციებს.

მთლიანობაში ნარჩენების დაახლოებით 64% წარმოადგენს ძვირფას მეორად ნედლეულს.

სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და განცალკევებით შეგროვების მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში სპეციალური პროგრამები ხორციელდება. ამ პროგრამებით

გათვალისწინებული ღონისძიებების წარმატებისათვის გადამწყვეტია მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულება თავად პროგრამებისადმი, თუმცა ამის მიღწევა იოლი არ არის.

სხვადასხვა ქვეყანაში ნარჩენების გადამუშავებისადმი საზოგადოების დადებითი დამოკიდებულების მისაღწევად სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება:

**ბარსელონაში** ნარჩენების განცალკევებით შეგროვების პროცესი სახალისო თამაშს ჰგავს, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ასაკის მოსახლეობა, მათ შორის, ბავშვები. ნარჩენების თითოეული კომპონენტისათვის განკუთვნილია სხვადასხვა ფერის ტომარა, რომლებიც შევსების შემდეგ ბარდება დანიშნულებისამებრ. ამ პროცესის დამთავრების შემდეგ ბავშვები ჯილდოვდებიან სხვადასხვა ტკბილეულით, ხოლო უფროსები იმსახურებენ მადლობას ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

**ნიდერლანდებში** მუნიციპალური ხელისუფლების მიერ ნარჩენების განცალკევებით აქტიურ შემგროვებლებზე გაიცემა ეკოლოგიური ლოიალობის კუპონი, რომლის მფლობელს შეღავათიანი კომუნალური გადასახადების უფლება ენიჭება.

**შვეიცარიაში** არსებობს ნარჩენების წვის 37 საქალაქო საწარმო, რომლებიც ქალაქებს ელექტროენერჯითა და ცხელი წყალით ამარაგებენ. თითოეული ასეთი საწარმო 150 ათასიანი ქალაქისათვის საჭირო ელექტროენერჯის 10%-ს იძლევა და მთლიანად უზრუნველყოფს ამ რაოდენობის მოსახლეობას ცხელი წყლით.

**ფინეთში** 1996 წლის ივნისიდან მოქმედებს სპეციალური კანონი, რომელიც საავტომობილო საბურავების ყველა მწარმოებელსა და იმპორტიორს ავალებს მომხმარებლებისაგან გამოყენებული საბურავების მიღებას. ავტომოყვარული ნებისმიერ დილერს აბარებს საბურავს, რომელიც შემდეგ იგზავნება 150-დან ერთ-ერთ გადამამუშავებელ პუნქტში. გადამამუშავების გადასახადი გათვა-

ლისწინებულია ახალი საბურავების სავაჭრო ფასში (მსუბუქი ავტომობილის ერთი საბურავისათვის 1,85 ევრო, ხოლო სატვირთო ავტომობილისათვის 8,30 ევრო).

**იაპონიაში** დაპრესილი ნარჩენებისა და ნაგვისაგან აწარმოებენ ბრიკეტებს ხელოვნური კუნძულების მშენებლობისათვის. ტურისტებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ნარჩენების გადამუშავებით მიღებული მასალებისაგან ტოკიოს ყურეში აშენებული კუნძული ოდაიბა, რომლიდანაც კარგად ჩანს ტოკიოს პანორამა და ამ კუნძულის ქალაქთან შემაერთებელი ცისარტყელას ხიდი.

**აშშ-ში** ყოველი წლის 15 ნოემბერი აღინიშნება როგორც ნარჩენების გადამუშავების დღე. ქვეყნის მასშტაბით ამ დღეს ტარდება თემატური სოციალური აქციები და კონკურსები. პრიზები ამ ღონისძიებებისათვის მზადდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტებისა და მასალებისაგან. 1998 წელს ჩატარებული კონკურსის ერთ-ერთი პრიზი იყო გადამუშავებული ნარჩენებით მიღებული მეორადი მასალებისაგან აშენებული 200.000 დოლარად ღირებული სახლი.

**ლატვიაში** 2006 წლიდან დაიწყო ნარჩენების განცალკევებულ შეგროვება, რისთვისაც ქვეყნის ქალაქებში დაიდგა მწვანე და ლურჯი ფერის კონტეინერები. მწვანე ფერის კონტეინერები საყოფაცხოვრებო, ხოლო ლურჯი ფერის - ქაღალდის, პოლიეთილენის პარკების, პლასტიკური ტარის, კონსერვის ქილების შესაგროვებლად და სხვ.

ქვეყნების უმეტესობაში ნარჩენების გატანის და უტილიზაციის საკითხების მოგვარება განსხვავებულია თვითმმართველობების მიხედვით.

### 5.3. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება

#### 5.3.1. პოტსდამის თვითმმართველობა (გერმანია)

პოტსდამის თვითმმართველობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩამოთვლილია თვითმმართველობის ძირითადი ტექნიკური სერვისები:

- ენერგომომარაგება;
- წყლით მომარაგება;
- დასუფთავება;
- ტრანსპორტი და სხვა.

დასუფთავების სერვისი, ნარჩენების გატანასთან ერთად, ქუჩების დასუფთავებასაც მოიცავს.

პოტსდამის თვითმმართველობის მიერ მიღებულია სპეციალური დადგენილება ნარჩენების მართვის ინსტრუქციის შესახებ (15.12.2006), რომლითაც დარეგულირებულია თვითმმართველობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, გატანის, გადამუშავების, განადგურების, განთავსების საკითხები.

გერმანიაში ამ საჯარო სერვისის განხორციელების ძირითადი ნორმატიული აქტია ნარჩენების შესახებ კანონი, რომლის მე-15 მუხლიც თვითმმართველობს ავალებს ამ საკითხის რეგულირებას.

პოტსდამის მიერ მიღებული დადგენილების მიზანს წარმოადგენს:

- ნარჩენების შემცირება,
- წარმოქმნილი ნარჩენების ხელახალი გამოყენების უზრუნველყოფა,
- გამოუყენებელი ნარჩენის უსაფრთხო განთავსება ნაგავსაყრელებზე.

თვითმმართველობის ტერიტორიაზე ხორციელდება შემდეგი ნარჩენების დახარისხება და ცალ-ცალკე შეგროვება/გატანა:

- დიდგაბარარიტიანი ნარჩენი,
- ელექტროტექნიკა,
- ოჯახში წარმოქმნილი ჯართი,
- საშიში ნარჩენი,
- ძველმანი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი,
- მაკულატურა,
- ბატარეები,
- სამშენებლო ნარჩენები და სხვა.

პოტსდამის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულია ის ნარჩენი, რომლის გატანაც არ არის გათვალისწინებული მუნიციპალური პროგრამით:

- **საშიში ნარჩენი**, რომელზეც მოქმედებს სპეციალური პროგრამა;
- **ბატარეები**, რომელთა უკან მიღების ვალდებულებაც არსებობს;
- **შეფუთვის საშუალებები**, რომელთა უკან მიღების ვალდებულება არსებობს;
- **ძველი ავტომობილები**, რომელიც მეორად ბაზარზე იყიდება;
- **სამედიცინო ნარჩენები**, რომელზეც მოქმედებს სპეციალური პროგრამა.

მსგავსი ნარჩენების მფლობელი ვალდებულია თავად მოახდინოს წარმოქმნილი ნარჩენის გატანა, გაუვნებელყოფა და შესაბამის

ნაგავსაყრელზე განთავსება, რომლებიც თვითმმართველობის მიერ არის გამოყოფილი.

განსაკუთრებული წესებია დადგენილი კომპოსტირებად ნარჩენებთან (ბოსტნეული; ხილი; ფოთოლი და სხვა) მიმართებაში. შესაძლებელია მათი ადგილზე გამოყენება ან სპეციალურ პუნქტებში მიტანა/გადამუშავება.

პოტსდამის მიერ მიღებული დადგენილებით დეტალურად არის აღწერილი თითოეული ტიპის ნარჩენის მახასიათებლები.

ზემოთმოყვანილ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საყოფაცხოვრებო ნარჩენს, რომლის შეგროვება, გატანა, გადამუშავება თუ ნაგავსაყრელზე განთავსება მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება პოტსდამის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც გერმანიის უმეტეს მუნიციპალიტეტებში, ნარჩენებისთვის განსაზღვრული სპეციალური "კონტეინერით" ხორციელდება. მიწის ნაკვეთის ყველა მფლობელი ვალდებულია დარეგისტრირდეს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში და შეიძინოს მისი მიწის ნაკვეთისთვის შესაბამისი კონტეინერი და აარჩიოს მისი დაცლის ინტენსიობა. თუ მფლობელის მიერ არასწორად იქნა არჩეული კონტეინერი ან დაცლის ინტენსიობა, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური მიუთითებს მას კონტეინერის შეცვლის შესახებ ან გაზრდის დაცლის ინტენსიობას.

რამდენიმე მომხმარებელს შეუძლია გაერთიანდეს და შეიძინოს საზიარო კონტეინერი. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გასატანად გამოიყენება 60; 80; 120; 240 და 1100 ლიტრის მოცულობის კონტეინერები, აგრეთვე 80 ლიტრის მოცულობის ტომარა. კერძო შემთხვევებში პოტსდამის ხელისუფლება ნებას რთავს 10 ან 20 კუბური მეტრის მოცულობის კონტეინერების გამოყენებას. ამ

კონტეინერების დამზადება ხდება მესამე პირის მიერ და ის არ გადადის მომხმარებლის კერძო საკუთრებაში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რომელიც ერთეულ შემთხვევებში არ ეტევა განსაზღვრულ კონტეინერში უნდა განთავსდეს სპეციალურ 80 ლიტრიან ყავისფერ ტომრებში წარწერით პოტსდამის დასუფთავების შპს. ამ ტომრების შექმნა სპეციალურ ადგილებზეა შესაძლებელი. წერილობითი განაცხადის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ 80 ლიტრიანი სპეციალური ტომრების გამოყენება.

დადგენილებით განსაზღვრულია თითოეული კონტეინერის დაცლის ინტენსიობაც:

- 60; 80; 120 და 240 ლიტრის მოცულობის კონტეინერების დაცლა ხდება ყოველკვირეულად; 2 კვირაში ერთხელ ან 4 კვირაში ერთხელ კვირის განსაზღვრულ დღეს.
- 1100 ლიტრის მოცულობის ინტენსიობაა კვირაში ორჯერ; ყოველკვირეულად ან 14 დღეში ერთხელ კვირის განსაზღვრულ დღეს.
- 10 ან 20 კუბური მეტრის ტევადობის კონტეინერის შემთხვევაში დაცლა ხორციელდება ყოველთვიურად; 2 ან 4 თვეში ერთხელ. დამატებითი გატანის სურვილის შემთხვევაში აუცილებელია გატანამდე 4 დღით ადრე წერილობითი განცხადების წარდგენა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანას ახორციელებს თვითმმართველობის მიერ შერჩეული კომპანია.

საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანაზე პოტსდამის ხელისუფლების მიერ დადგენილია შესაბამისი გადასახდელი, რომელიც 2 ნაწილისაგან შედგენა:

- ძირითადი (მუდმივი) გადასახდელი, რომელიც ოჯახის სულადობასა და საკუთრებაში არსებულ მცირე ზომის ბაღებზე იანგარიშება.

კონტეინერის ზომა	60 ლ	80 ლ	120 ლ	240 ლ	1100 ლ	10მ <sup>3</sup>	20 მ <sup>3</sup>
წლიური/გადასახდელი/ევრო კვირაში ორჯერადი დაცლა	X	X	X	X	2.286,8	X	X
წლიური/გადასახდელი/ევრო ყოველკვირეული დაცლა	62,05	82,90	124,61	249,23	1.143,4	X	X
წლიური/გადასახდელი/ევრო 14 დღეში დაცლა	31,02	41,45	62,31	124,61	571,72	X	X
წლიური/გადასახდელი/ევრო 4 კვირაში დაცლა	15,51	20,73	31,15	62,31	X	X	X
წლიური/გადასახდელი/ევრო ყოველთვიური დაცლა	X	X	X	X	X	4.785,6	9.571,2
წლიური/გადასახდელი/ევრო 2 თვეში დაცლა	X	X	X	X	X	9.571,2	19.142,4
წლიური/გადასახდელი/ევრო 4 თვეში დაცლა	X	X	X	X	X	19.142,4	38.284,8

- რაოდენობაზე მიბმული გადასახდელი, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი კონტეინერის დაცლის ინტენსიობაზე.

ოჯახებისთვის ძირითადი გადასახადი განსაზღვრულია წლიურად ერთ სულზე 21,60 ევრო.

რაოდენობაზე მიბმული გადასახდელი კი შემდეგნაირად არის განსაზღვრული:



### 5.3.2. ნეოპოლომიცეს თვითმმართველობა (პოლონეთი)

**გმინის (თვითმმართველობა პოლონეთში)** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია კომუნალური ნარჩენების მეურნეობის სისტემის შექმნაა. უმეტეს თვითმმართველობებში "რეციკლინგის" მოდელია შემოდებული, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ნარჩენები გადამუშავდეს და რაც შეიძლება ნაკლები მოხვდეს ნაგავსაყრელზე.

კომუნალური ნარჩენების შეკრებისა და გატანის წესებს ადგენს საკრებულო. მოსახლეობა ვალდებულია თავიანთ საცხოვრებელ კერძო ტერიტორიებზე დააყენონ ურნები და ნარჩენების პირველადი გადახარისხება თვითონ გააკეთონ. ნარჩენების შეგროვება და გადახარისხება საცხოვრებელი სახლების ტერიტორიაზე ხდება, გატანას კონკურსის საფუძველზე შერჩეული კომპანიები აწარმოებენ. ნარჩენების შეგროვებისთვის სპეციალური დიდი ურნებია გამოყოფილი, მათი ზომა კი საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლების რაოდენობაზეა დამოკიდებული. გადახარისხებული ნარჩენები, რომლებიც რეციკლინგს (გადამუშავებას) ექვემდებარება სპეციალურ ფერად ტომრებში თავსდება. გადამუშავებისთვის გადახარისხებული ნარჩენების (ქაღალდი, პლასტმასი, შუშა) გატანა უფასოა. შერეული ტიპის კომუნალური ნარჩენების გატანა არა ნაკლებ თვეში ერთხელ ხდება. ორგანულ ნარჩენებს მოსახლეობა ქალაქში თავიანთი საყვავილებებისთვის სასუქად იყენებს, სოფელში კი - მიწის გასანოყიერებლად.

აზბესტის შემცველი ნარჩენების შეგროვება და გატანა სპეციალური პროგრამის და წესების მიხედვით წელიწადში ერთხელ ხდება. მოსახლეობა ამ ტიპის ნარჩენების გატანის ხარჯების 25% იხდის,

დანარჩენი 75% გარემოს დაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ფინანსდება.

დიდგაბარიტიანი ნარჩენების და გამოუყენებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკის გატანა კვარტალში ერთხელ ხორციელდება.

სამშენებლო ნარჩენი გმინის ყველა მოსახლეს შეუძლია თავისი ტრანსპორტით კომუნალური ნარჩენების საყრელზე თვითონ მიიტანოს ან დაუკავშირდეს გმინაში ამ მომსახურეობაზე მომუშავე კომპანიას.

ყველა მოსახლე ვალდებულია მომსახურეობაზე ხელშეკრულება დაუდოს იმ კომპანიას, რომელიც ნარჩენების გატანაზე მუშაობს. მერიაში და გამგეობაში აქვთ გმინის იმ მოსახლეთა სია, რომლებიც უარს ამბობენ ნარჩენების დადგენილი წესით გატანაზე, რაც ადმინისტრაციული ჯარიმებით ისჯება. აღნიშნულის მეშვეობით გმინა ნაგვის უკანონოდ გადაყრას ებრძვის.

გმინების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ნაგავსაყრელი, რომლის ფუნქციაა ნარჩენების გადახარისხება და უსაფრთხოდ მოთავსება. ნაგავსაყრელს დრენაჟის სისტემა აქვს, რომლის მეშვეობით სპეციალურ ავზში ნარჩენების ლჰობის დროს წარმოქმნილი სითხე გროვდება. ავზში შეგროვებული სითხე სპეციალური მანქანებით წყლის გამასუფთავებელ სადგურზე გადააქვთ.

გმინაში ნარჩენების მეურნეობის საკითხს შესაბამისი დოკუმენტი არეგულირებს, რომელსაც ნარჩენების მეურნეობის გეგმა ჰქვია. მაგალითად: ნეოპოლომიცეს გმინაში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იწერება ამ გეგმის შესრულების ანგარიში და ყოველ ოთხ წელიწადში ხდება მისი განახლება.

## 6. დასკვნები და რეკომენდაციები

### 6.1. ძირითადი დასკვნები

ჩვენს მიერ საპილოტე მუნიციპალიტეტებიდან მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა გარემოებები, რომელთა არსებობის პირობებში შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს მოსახლეობისთვის მუნიციპალური სერვისების ხარისხიან და თანაბარ მიწოდებას.

- გამოკვლეულ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური სერვისების მოსახლეობისათვის მიწოდების დროს უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს სისტემური მიდგომა ამა თუ იმ მომსახურების დაგეგმარებაში, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებს უმეტესწილად არ გააჩნიათ ის კონკრეტული წესი თუ ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს შესაბამისი სამსახური სერვისის დაპროექტებისას;
- კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ უმრავლესი მათგანი თავიანთი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებისას არ ითვალისწინებს არათუ ევროპულ, არამედ მოძველებულ, მაგრამ მოქმედ, საბჭოთა პერიოდის სტანდარტებსაც კი. შედეგად, ხშირ შემთხვევაში, როდესაც მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად, სატენდერო პირობებში არ არის ჩადებული ის ნორმები თუ რეგულაციები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს შემსრულებელი ორგანიზაციისთვის, რამაც უნდა განაპირობოს შესაბამისობა როგორც მინიმუმ საბჭოთა

სტანდარტებთან მაინც, რაც საბოლოო ჯამში იქნება შესრულებული სამუშაოს ხარისხიანობის გარანტი;

- აღნიშნული სერვისების რეგულირება კანონის შესაბამისად ხორციელდება უშუალოდ თვითმმართველობების მიერ, რაც გულისხმობს სერვისების მიწოდების მიზნით სახსრების გათვალისწინებას ადგილობრივ ბიუჯეტში და ასევე ეფექტური მენეჯმენტის განხორციელებას. რაც შეეხება მუნიციპალური სერვისების მოქალაქეებისთვის მიწოდების კონკრეტულ გზებსა და მეთოდებს, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია კერძო-საჯარო პარტნიორობის სხვადასხვა ფორმების გამოყენება, რაც გულისხმობს ამა თუ იმ სფეროში გარკვეული საქმიანობის უზრუნველყოფას კერძო შემსრულებლის მიერ, რომელსაც მუნიციპალიტეტი უნდა აძლევდეს შეკვეთას თავისთვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით. ბუნებრივია, ამ პროცესების განხორციელების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელ კომპონენტს მიწოდებული სერვისის ხარისხი და ნორმები უნდა წარმოადგენდეს;
- ერთსადაიმავე მუნიციპალიტეტში რომელიმე მუნიციპალური სერვისის დაგეგმარება-განხორციელების კუთხით შეიძლება არსებობდეს გარკვეული რეგულაცია (მაგ: გორის მუნიციპალიტეტი, სადაც მოქმედებს საბჭოთა პერიოდის სტანდარტი СНИП 2.05.02-85. "სამშენებლო ნორმები და წესები"), თუმცა იგივე მუნიციპალიტეტში პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე ინსტრუქცია ან რეგულაცია გარეგანათების უზრუნველყოფის მიმართულებით და აღნიშნული სფეროს დაგეგმარება სპონტანურად ხორციელდება. ასევე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო იმუშავებს დადგენილებას, რომელიც აწესრიგებს ქუჩებისა და მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის საკითხებს, მაგრამ მეორეს მხრივ, არანაირი

რეგულაცია არ არსებობს "თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, საგზაო მოძრაობის დაგეგმარების" სფეროში;

- ზემოთქმულის ლოგიკური გაგრძელებაა შემდეგი საკითხი: თუ ერთმანეთს შევადარებთ ორ საპილოტე მუნიციპალიტეტს ნორმებისა და რეგულაციების არსებობა-გამოყენების თვალსაზრისით, განსხვავებული და რაც მთავარია არაერთგვაროვანია მიდგომა თითოეულ მუნიციპალიტეტში. არის სერვისები, რომელთა განხორციელებისას მოცემული მუნიციპალიტეტი იყენებს გარკვეულ წესებს, ხოლო იგივე სერვისების კუთხით სხვა მუნიციპალიტეტს არანაირი წესი და ნორმა არ გააჩნია. სახეზეა საკითხისადმი არაკომპლექსური და ფრაგმენტული მიდგომის მკაფიო ნიშნები;
- დღესდღეობით მუნიციპალური შესყიდვისას ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ძირითად გასათვალისწინებელ ფაქტორს შემსრულებლის მიერ შემოთავაზებული ფასი წარმოადგენს, რაც ერთის მხრივ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის, თუმცა მეორეს მხრივ მაღალი ალბათობით სავარაუდოა, რომ "ფასისმიერი" მიდგომით შესრულებული სამუშაოს ხარისხი ეჭვქვეშ დადგება. გასაგებია, რომ თითოეული შემთხვევა თავისი შინაარსითა და მოცულობით განსხვავებულია და შესაძლოა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებდეს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული პრინციპით განხორციელებულ მუნიციპალურ შესყიდვებს ერთჯერადი ეფექტი გააჩნია, რადგანაც ხარისხის არ არსებობის შემთხვევაში მუნიციპალური სერვისის მოკლე პერიოდში იქნება ამორტიზირებული, რაც ხელახლა გახდება დამატებითი ფინანსური ტვირთი მუნიციპალური ბიუჯეტისთვის. მაგალითად,

როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობა გარეგანათების განმახორციელებელ კომპანიას ირჩევს, კომპანია, რომელიც ყველაზე იაფ ფასად შესთავაზებს სამუშაოებს, უმეტეს შემთხვევაში ის ხდება გამარჯვებული;

- პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალური სერვისების განმახორციელებელი ორგანოები მათ კომპეტენციას მიკუთვნებული სერვისის დაგეგმარებისას უმეტეს წილად ხელმძღვანელობენ შესაბამის სამსახურში მომუშავე რამდენიმე ადამიანის პირადი გამოცდილებით. აღნიშნულ პირებს აქვთ თავიანთ სფეროში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა. უმეტესად ამ ადამიანების საშუალო ასაკი აღემატება 55-60 წელს, რომელთაც უმაღლესი ტექნიკური განათლება მიღებული აქვთ საბჭოთა პერიოდში. როგორც კვლევის შედეგად გავივლინდა, მათი კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია სერვისების დაგეგმარების საქმეში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი ცოდნა და გამოცდილება ხშირ შემთხვევაში ვერ პასუხობს თანამედროვე ნორმებს და საჭიროებს აუცილებელ გადახალისებას. ყოველივე აქედან გამომდინარე, სერვისების დაპროექტება-დაგეგმარების საკითხი შეიძლება ითქვას "თვითდინებაზე" მიშვებული;
- შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არსებობს ერთიანი და სისტემური მიდგომა ადგილობრივი სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის სერვისები, რომელთა მიწოდება მეტნაკლებად დარეგულირებულია. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ "ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა". ამ კუთხით ჩვენს მიერ გამოკვლეულ მუნიციპალიტეტებში არსებობს საპროექტო ორგანიზაციები, რომელთაც მუნიციპალიტეტი

ამღევს დაკვეთას მაგალითად რომელიმე კონკრეტული ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. საპროექტო ორგანიზაცია შესაბამის საბჭოთა დროინდელი სტანდარტის გათვალისწინებით (მაგ. СНИП 2.05.02-85. სამშენებლო ნორმები და წესები და სხვ.) შეადგენს პროექტს, რომელზე დაყრდნობითაც მუნიციპალიტეტი აცხადებს ტენდერს და შესაბამისად გამოვლინდება შემსრულებელი კომპანია. აღნიშნულ მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ სფეროში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოდ კვლავაც ზემოაღნიშნული საბჭოთა "СНИП"-ი გამოიყენება.

რაც შეეხება თვითმმართველობებში ადმინისტრაციის ეფექტური ფუნქციონირებისა ადმინისტრაციული მომსახურების საკითხებს, ამ მიმართულებით საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არის გარკვეული სიახლეები, მაგალითად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემუშავებულ იქნა ადმინისტრაციისათვის მართვის თანამედროვე მეთოდები, რომელიც პოლონეთის გამოცდილებას ეყრდნობა და "ISO"-ს სტანდარტებს შეესაბამება (International Organization for Standardization - ISO, დაარსებული 1947 წლის 23 თებერვალს, წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციას და ფართოდ ცნობილია, როგორც საერთაშორისო სტანდარტის მიმღები ორგანო, რომელიც შედგება სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტების ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და რომელიც მთელს მსოფლიოში ავრცელებს კერძო, სამრეწველო და კომერციულ სტანდარტებს).

რაც შეეხება სხვა მეთოდოლოგიას, ძალზე საინტერესოა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) პროექტის - "ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა საქართველოში" - ფარგლებში შემუშავებული "სამაგიდო წიგნი", სადაც აღწერილი და

განალიზებულია "მოქალაქეთა ადმინისტრაციული მომსახურების ბიუროს" სტრუქტურული და შინაარსობრივი ასპექტები, რაც ზოგადად გულისხმობს ბიუროკრატიის მაქსიმალურ მინიმიზირებას და მომხმარებლისთვის მომსახურების მარტივად და გამჭვირვალედ მიწოდების უზრუნველყოფას. 2008 წელს "მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს" სისტემა დაინერგა საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში (სიღნაღი, ლაგოდეხი, ბოლნისი, თერჯოლა, ხელვაჩაური, ახალციხე) და ქალაქ თბილისში.

მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს არსი მდგომარეობს შემდეგში:

- მოქალაქეთა მომსახურების ბიურო (მმბ) განთავსებული უნდა იყოს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ოფისში და გააჩნდეს ხელსაყრელი მდებარეობა.
- მმბ-ში მომსახურება ხორციელდება "ერთი სარკმლის პრინციპით" ერთ მისამართზე ერთ ბიუროში.
- მმბ-ში გარკვევით უნდა იყოს გაწერილი და თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებული გაწეული მომსახურების მოსაკრებლის რაოდენობა, მომსახურების პროცედურები და ვადები.
- მომსახურების ახალი სისტემის დანერგვა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის იმიჯის ამაღლებას, ადმინისტრაციული პროცედურები ხდება უფრო ეფექტიანი და ხელმისაწვდომი. იზრდება მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა.

მიუხედავად ზემოთაღწერილი სიტუაციისა, რომელიც პოზიტიურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, არის მთელი რიგი სერვისებისა, სადაც არ არსებობს არანაირი ნორმა თუ რეგულაცია და აღნიშნული სერვისების განხორციელება ემყარება მხოლოდ ზოგიერთი კვალიფიციური კადრის პირად გამოცდილებას. მსგავსი სიტუაცია მაგალითად სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და



გარეგანათების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარების, ქუჩების, მოედნების სახელდების და ნუმერაციის და სხვა სფეროებში;

საბოლოო ანგარიშით, უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობებში მუნიციპალური სერვისების ხარისხიანად უზრუნველყოფის საკითხი გადაუწყვეტელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მდგომარეობა განპირობებულია აღნიშნულ სფეროში ერთიანი სისტემის არარსებობით, რომელიც გაცილებით ღრმა პრობლემაა, ვიდრე რომელიმე ადგილობრივი ხელისუფალისა თუ საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

## **6.2. რეკომენდაციები**

აუცილებელია მუნიციპალური სერვისების სფეროში ეროვნულ დონეზე შემუშავებულ იქნეს ერთიანი, უნიფიცირებული ჩარჩო დოკუმენტი, სადაც ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ასახული იქნება ის მინიმალურად აუცილებელი ნორმები და რეგულაციები, რომელიც სახელმძღვანელოდ გადაეცემათ თვითმმართველობს.

მინიმალურად აუცილებელი ნორმების შემუშავებისა და დანერგვისათვის აუცილებელი ღონისძიებები უნდა დაიყოს ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებად. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქტიობა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სამსახურთან კოორდინაციით. ადგილობ-

რივი თვითმმართველობების დონეზე კი აუცილებელია მათი გაერთიანების, დონორი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი სექტორის აქტივობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისათვის სერვისების შეუფერხებელი და ეფექტური მიწოდებისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით აუცილებელია მისაკრებლების დაწესება. მოსაკრებლის დაწესება უზრუნველყოფს ორ ძირითად შედეგს:

- მოსაკრებლის გადახდევინება ხდება წინასწარ, სანამ ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობას გაუწევს შესაბამის სერვისს, ამიტომაც მოსაკრებლის ადმინისტრირების მაჩვენებელი მაღალია (მოსახლეობამ იცის, რომ მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში ის ვერ მიიღებს ადეკვატურ სერვისს);
- მოსაკრებლის დაწესებით ადგილობრივი თვითმმართველობა სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს იმ ხარჯების ამოღებას, რაც მას შესაბამისი სერვისის მიწოდებისათვის დახარჯა.

მიუხედავად იმისა, მოსახლეობის მიერ გადახდილი მოსაკრებელი საკმარისია თუ არა შესაბამისი სერვისის მიწოდების სრული ანაზღაურებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობა მაინც ვალდებულია მიაწოდოს საკუთარ მოსახლეობას სერვისი და დანაკლისი (დანაკლისი = დახარჯული რესურსები - მობილიზებული მოსაკრებელი) გადაიხადოს (ანაზღაუროს) საკუთარი ბიუჯეტიდან.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები:

- ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემების შემუშავების დროს გასათვალისწინებელია თითოეული დასახლებული პუნქტის თავისებურებები (მოსახლეობის რაოდენობა, ადგილობრივი გეოგრაფიული პირობები და სხვა);
- უპირველეს ყოვლისა, სასურველია ადგილებზე ნარჩენების მართვის მცირე პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რის საშუალებითაც ამ სფეროში გამოცდილება თანდათან და უმტკივნეულოდ დაგროვდება;
- დასუფთავების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პარალელურად აუცილებელია მონიტორინგის წარმოება და შედეგების შეფასება;
- პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელ შემადგენელ ელემენტად უნდა იქცეს თვითმმართველობის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის ყველა ჯგუფის (ნარჩენების წარმომქმნელების) თანამშრომლობა;
- თითოეული დასახლებული პუნქტისათვის აუცილებელია შერჩეული იქნეს მიდგომების გარკვეული კომბინაციები ადგილობრივი გამოცდილებისა და ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით;
- ზოგადად ნარჩენების, კონკრეტულად კი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა არ გადაიჭრება მხოლოდ ტექნოლოგიებისა და მიდგომების სწორი შერჩევის გზით. საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს მხოლოდ საქმის სწორად ორგანიზებით, პრობლემის ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული ყველა ასპექტის ერთ მთლიან კომპლექსში განხილვით.

რაც შეეხება სხვა ადგილობრივ სერვისებს, აქ აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- ვინაიდან საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისას და გარეგანათების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბჭოთა პერიოდის სტანდარტები და არ არსებობს ეროვნული ნორმები, აუცილებელია შეიქმნას ახალი ეროვნული ნორმები და რეგულაციები, რაც უზრუნველყოფს დაგებული (მოწესრიგებული) გზების მეტ ხარისხს და უსაფრთხოებას;
- ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სისტემაში აუცილებელია განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული კონკრეტული საკითხები (მაგ. პირველადი გადაუდებელი ჯანდაცვა, ამბულატორიები და სხვა), ხოლო ამაზე დაყრდნობით მომზადდეს მინიმალური რეგულაციები, რათა სერვისს არ ჰქონდეს სპონტანური ხასიათი;
- საბაშვო ბაღების და სკოლისგარეშე დაწესებულებებისთვის აუცილებელია არსებობდეს მინიმალური რეგულაციები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მინიმალური სერვისის მიწოდება მოზარდებისათვის (მაგ. კვების ნორმები, სწავლების სისტემა და ა.შ.). აქ კარგი გამოსავალი იქნებოდა თვითმმართველობის მხრიდან ვაუჩერებზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემის არსებობა;
- აუცილებლად განსასაზღვრია ქუჩების ნუმერაციის წესი, გზაჯვარედინებზე მაჩვენებლების განსაზღვრა და ა.შ. ამასთან, ვინაიდან საქართველო აპირებს იქცეს ტურისტულ ქვეყნად, მნიშვნელოვანი იქნება მთელი რიგი წარწერების ინგლისურ ენაზე გაკეთების დავალდებულება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის (მაგ. გზაჯვარედინებზე ქუჩების მაჩვენებლები, ქუჩების დასახელება, მოედნების დასახელება და ა.შ.).

საბოლოო ჯამში, მოწესრიგებული რეგულაციების სისტემა მართალია აძვირებს თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისათვის მისაწოდებელი სერვისების ღირებულებას, მაგრამ უზრუნველყოფს მეტ (უფრო მაღალ) ხარისხს და საჯარო ფინანსების ეფექტიან ხარჯვას. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ნამდვილად იძლევა ადექვატურ შედეგს.

1. კითხვა-პასუხების კრებული ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ. 2009;
2. "მუნიციპალური მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება", Urban Institute, 2006.
3. "სამაგიდო წიგნი, მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს შესახებ", გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ).
4. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" (OSGF), 2008".
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
6. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
7. "სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონი;
8. "საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონი;
9. საკვლევი მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა პერიოდში მიღებული სამართლებრივი აქტები;
10. პოტსდამის მუნიციპალიტეტი, [www.brandenburg.de](http://www.brandenburg.de)
11. ნაპოლომიცეს მუნიციპალიტეტი, [www.niepolomice.com](http://www.niepolomice.com)

12. საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სამსახური (GEOSTM), [www.gnims.caucasus.net](http://www.gnims.caucasus.net)
13. ქ.თბილისის მერია, [www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)
14. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის სისტემის ცენტრი, [www.cegstar.ge](http://www.cegstar.ge)
15. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი #109, [www.csrdg.ge](http://www.csrdg.ge)

დანართი 1

საქართველოს სტანდარტების,  
ტექნიკური რეგლამენტების და  
მეტროლოგიის  
ეროვნული სააგენტო

0141, თბილისი, ჩარგალის ქ. № 67,  
ტელ (99532) 617047, ფაქსი (99532) 940913



**National Agency for Standards,  
Technical Regulations and  
Metrology of Georgia**

67 Chargali Str. 0141, Tbilisi, Georgia  
Tel (99532) 617047, Fax (99532) 940913

15.05.09 № 281

თქვენს №09/01-2009  
02.05.09 წერილზე

კავკასიის ეკონომიკური და  
სოციალური კვლევითი  
ინსტიტუტის აღმასრულებელ  
დირექტორს  
ბ-ნ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

წარმოგიდგინთ ინფორმაციას თქვენს მიერ წერილში მითითებულ  
სფეროებში მოქმედი სტანდარტების შესახებ.

\* გარე განათება:

- ბოსტ 12.1.046-85 “მშენებლობა. სამშენებლო მოედნების განათება”.

\* ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და  
განვითარების უზრუნველყოფა:

- ბოსტ 30412-96 “გზები საავტომობილო და აეროდრომები. საფუძვლისა  
და დაფარვის უსწორობის გაზომვის მეთოდები”.

\* სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და  
შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა,  
მუზეუმი, საგანათმელებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებები და სხვა).  
საქმიანობის ხელშეწყობა:

- სსტ 6.2-96 “საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტაციის  
სისტემა. მოთხოვნები დოკუმენტების გაფორმებისადმი”



- სტანდარტების ციკლი საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, საგამომცემლო საქმიანობაზე (მოიცავს მოთხოვნებს დოკუმენტების ბიბლიოგრაფიულ აღწერასა, რეფერატების, ანოტაციების შედგენის წესზე, მოთხოვნებს პერიოდული გამოცემების მონაცემებზე და სხვა.); მაგ. ზღსტ 7.1-84 "სტანდარტების სისტემა საინფორმაციო, საბიბლიოთეკო და საგამომცემლო საქმიანობაზე. დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერა. ზოგადი მოთხოვნები და შედგენის წესი" და სხ..

- ტექნიკური მოთხოვნები სასკოლო მერხების, მაგიდების, კარადების, სკოლამდელი ასაკის ბავშვების ავეჯის მიმართ. მაგ. ზღსტ 11015-93 "მაგიდები მოსწავლეების. ტიპები და ფუნქციური ზომები".

\* ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისათვის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება.

- სტანდარტების ციკლი შრომის უსაფრთხოებაზე (მოიცავს მოთხოვნებს ბიოლოგიური უსაფრთხოების, სამუშაო ადგილებზე დასაშვები ხმაურის, ვიბრაციის, ელექტროუსაფრთხოების, გამოყენებული ტექნიკის უსაფრთხოების მიმართ და ა. შ.); მაგ. ზღსტ 12.1.008-76 "შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა. ბიოლოგიური უსაფრთხოება. ზოგადი მოთხოვნები", ზღსტ 12.1.019-79 "ელექტროუსაფრთხოება. ზოგადი მოთხოვნები" და ა.შ..

- სტანდარტების ციკლი გარემოს დაცვაზე (მოიცავს მოთხოვნებს ნიადაგის, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს მანქანებლების მიმართ). მაგ. ზღსტ 17.2.3.02-78 "ბუნების დაცვა. ატმოსფერო. საწარმოთა მიერ მანქანითიერებათა დასაშვები გამონაფრქვევებს დადგენის წესი", ზღსტ 17.1.2.03-90 "ბუნების დაცვა. მოსარწყავი წყლის ხარისხის კრიტერიუმები და მანქანებლები" და სხვა.

- მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების მიმართ, მათ შორის სანიტარული წესების და ნორმების მიმართ, ცადკუული სახეობების (ხორცი და ხორცპროდუქტები, პური და პურპროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები და სხ.) მიხედვით, ტესტირების მეთოდების გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნულ თემაზე მოქმედი სტანდარტების დიდი რაოდენობის გამო მათი ჩამონათვალის წარმოდგენა შეუძლებელია.

\* სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- ზოგადი მოთხოვნები სახანძრო უსაფრთხოებაზე. მაგ. ზღსტ 12.1.004-91 "შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა. სახანძრო უსაფრთხოება. ზოგადი მოთხოვნება" და სხვა.

\* თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარება:

- მოთხოვნები საგზაო, სანომრე ნიშნების, საგზაო მონიშვნების, შუქნიშნების მიმართ. მაგ. ზღსტ 10807-78 "საგზაო ნიშნები. ზოგადი ტექნიკური პირობები", ზღსტ 3207-77 "სანომრე ნიშნები სატრანსპორტო საშუალებებისათვის. ტიპები და ძირითადი ზომები. განლაგება. ტექნიკური მოთხოვნები", ზღსტ 13508-74 "საგზაო მონიშვნება", ზღსტ 25695-91 "შუქნიშნები საგზაო. ტიპები. ძირითადი პარამეტრები" და სხვა.

წერილში მითითებული დანარჩენი სფეროები სტანდარტიზაციის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

დაწერილებითი ინფორმაციის მიღება ყველა შემთხვევაში აღნიშნული კონკრეტული საკითხის შესახებ შეგიძლიათ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე e-mail: Sagstandarti (@) yahoo.com და სააგენტოს სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტის დეპარტამენტის ეროვნულ ფონდში.

სააგენტო მზად არის ითანამშრომლოს თქვენს ინსტიტუტთან და თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

პატივისცემით,  
ვენერალური დირექტორი



ნოდარ ხაგიაშვილი

**СТРОИТЕЛЬНЫЕ НОРМЫ И ПРАВИЛА  
АВТОМОБИЛЬНЫЕ ДОРОГИ**

**СНИП 3.06.03-85**

**ГОССТРОЙ СССР**

РАЗРАБОТАНЫ Союздорнии (канд. техн. наук Б. С. Марышев, канд. экон. наук Е. М. Зейгер, канд. техн. наук О. И. Хейфец) и ГПИ „Союздорпроект“ Минтрансстроя (В. В. Щербаков), Промтрансниипроектом Госстроя СССР (П. И. Зарубин).

ВНЕСЕНЫ Министерством транспортного строительства.

ПОДГОТОВЛЕНЫ К УТВЕРЖДЕНИЮ Главтехнормированием Госстроя СССР (В. И. Чувев).

С введением в действие СНИП 3.06.03-85 „Автомобильные дороги“ с 1 января 1986 г. утрачивают силу СНИП III-40-78 „Правила производства и приемки работ. Автомобильные дороги“.

При пользовании нормативным документом следует учитывать утвержденные изменения строительных норм и правил и государственных стандартов, публикуемые в журнале „Бюллетень строительной техники“, „Сборнике изменений к строительным нормам и правилам“ Госстроя СССР и информационном указателе „Государственные стандарты СССР“ Госстандарта.

## **1. ОБЩИЕ ПОЛОЖЕНИЯ**

1.1. Настоящие правила распространяются на строительство новых и реконструкцию существующих автомобильных дорог общего пользования и ведомственных, за исключением временных дорог, испытательных дорог промышленных предприятий и автозимников.

1.2. При строительстве и реконструкции автомобильных дорог кроме требований настоящих правил следует соблюдать требования, содержащиеся в других документах части 3 СНИП, утвержденном проекте, а также нормативных документах по технике безопасности и промышленной санитарии.

1.3. При строительстве и реконструкции автомобильных дорог необходимо принимать меры по охране природной среды. Технологические решения должны предусматривать недопущение причинения ущерба окружающей природной среде и сохранение устойчивого природного баланса при выполнении работ, нарушение которых может вызвать изменение геологических или экологических условий.

Не допускается повреждение дерново-растительного покрова, выполнение планировочных и дренажно-осушительных работ за пределами территорий, отведенных для строительства дороги. Повреждения, нанесенные природной среде в зоне временного отвода в результате строительства временных сооружений и дорог, проезда строительного транспорта, стоянки машин, складирования материалов и т.п., должны быть устранены к моменту сдачи дороги в эксплуатацию.

При выборе методов производства работ и средств механизации следует учитывать необходимость соблюдения соответствующих санитарных норм, норм предельно допустимых выбросов загрязняющих веществ в атмосферу и водные объекты и устранения или максимального уменьшения других видов вредных воздействий на природную среду и прилегающие земельные угодья.

1.4. Склады органических вяжущих материалов должны быть оборудованы системой подогрева.

1.5. Каменные материалы (щебень, гравий) следует, как правило, разгружать на бункерных прирельсовых установках.

1.6. На площадках складирования минеральных материалов на территории асфальто- и цементобетонных заводов (АБЗ и ЦБЗ), смесительных установок, прирельсовых и припирсовых баз необходимо устраивать твердое покрытие с водоотводом.

1.7. Работу по устройству слоев дорожной одежды следует производить только на готовом и принятом в установленном порядке непереувлажненном и недеформированном земляном полотне.

Покрытие и основание с использованием вяжущих материалов следует устраивать на сухом и чистом нижележащем слое, а при использовании органических вяжущих материалов, кроме того, — на непромерзшем слое.

1.8. До начала устройства каждого слоя основания и покрытия следует производить разбивочные работы по закреплению положения бровок и высотных отметок слоев. При применении машин, оборудованных автоматическими следящими системами, закрепление бровок и высотных отметок осуществляется путем установки копирных струн с одной или двух сторон укладываемого слоя. Разбивочные работы и их контроль следует выполнять с использованием геодезических инструментов.

1.9. Устройство слоев дорожной одежды в зимнее время разрешается только по земляному полотну, полностью законченному и принятому до наступления отрицательных температур, за исключением строительства в условиях вечной мерзлоты и двухстадийного строительства.

1.10. Перед началом работ по устройству слоев дорожной одежды в зимнее время земляное полотно или нижележащий слой должны быть очищены от снега и льда на участке сменной захватки. В снегопад и метель работы по устройству дорожной одежды не допускаются.

1.11. Подбор составов смесей для устройства оснований и покрытий следует производить в соответствии с требованиями соответствующих нормативных документов к этим материалам.

1.12. Уплотнение катками слоев земляного полотна, оснований и покрытий необходимо осуществлять от краев к середине, при этом каждый след от предыдущего прохода катка должен перекрываться при последующем проходе не менее чем на 1/3.

Скорость движения катка, при отсутствии специальных указаний в настоящих правилах, следует принимать равной 1,5—2 км/ч на первых 2—3 проходах и доводить к концу укатки до максимальной рабочей скорости, указанной в паспорте.

Число проходов катка и толщину уплотняемого слоя с учетом коэффициента запаса на уплотнение материалов следует устанавливать по результатам пробного уплотнения. Результаты пробного уплотнения необходимо заносить в общий журнал работ.

1.13. При операционном контроле качества работ по устройству дорожной одежды следует контролировать по каждому укладываемому слою не реже чем через каждые 100 м:

высотные отметки по оси дороги;

ширину;

толщину слоя неуплотненного материала по его оси;

поперечный уклон;

ровность (просвет под рейкой длиной 3 м на расстоянии 0,75—1 м от каждой кромки покрытия (основания) в пяти контрольных точках, расположенных на расстоянии 0,5 м от концов рейки и друг от друга).

Перечень других контролируемых параметров и порядок их контроля приведены в соответствующих разделах настоящих правил.

При выполнении контрольных работ разрешается применять новые быстродействующие приборы, показания которых сопоставимы с показаниями традиционных приборов.

1.14. При уширении проезжей части автомобильных дорог в случае их реконструкции следует обеспечивать плотное и ровное сопряжение укладываемых слоев с существующей дорожной одеждой.

1.15. При производстве работ на притрассовых карьерах следует предусматривать сбор и в необходимых случаях обогащение отсевов дробления, при наличии разнопрочных горных пород — обогащение каменных материалов по прочности.

При круглогодичном режиме работы карьера необходимо предусматривать мероприятия по предупреждению промерзания пород в массиве и смерзанию горной массы в процессе добычи и переработки.

## 2. ОРГАНИЗАЦИЯ ДОРОЖНО-СТРОИТЕЛЬНЫХ РАБОТ

2.1. Поточный метод строительства следует применять как на строительстве всей дороги, так и на отдельных ее участках или при выполнении отдельных видов дорожно-строительных работ.

В условиях строительства группы рассредоточенных объектов небольшой протяженности для выполнения одинаковых видов работ необходимо предусматривать организацию специализированных потоков, последовательно перемещающихся с одного объекта на другой в составе, как правило, одного комплексного потока.

Скорости потоков, величина организационных и технологических перерывов между выполнением отдельных видов работ должны устанавливаться на основе технико-экономического сравнения вариантов организации строительства с учетом оптимальной скорости выполнения наиболее сложных и трудоемких строительных процессов и других организационных и экономических факторов (достигнутого уровня использования и степени готовности технических ресурсов, возможности оперативного маневрирования ресурсами, использования конструкций и материалов, позволяющих наиболее полно механизировать строительные процессы, использования местных материалов и др.).

და ასე შემდეგ (შემოკლებულია).

გორი  
ქუჩების რეაბილიტაცია

პ რ ო ე ქ ტ ი

წიგნი I

განმარტებითი ბარათი და ნახაზები

დირექტორი:



/ გ. მაზმიშვილი /

მთ. ინჟინერი

თ. ლომიძე

/ თ. ნამორაძე /

## განმარტებითი ბარათი

### 1. საერთო ნაწილი

ქ. გორის გამგეობის 2006 წელს 18 ივლისს „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ – შესაბამისად ქ. გორში სამგორის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის, გარსევანიშვილის, ყიფიანის, ყაზბეგის, ლომოურის ქუჩების და ცხინვალის გზადკეცილზე არსებული ტროტუარის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოების შესრულება.

დაპროექტებას საფუძვლად დაედო კვლევა-ძიების სამუშაოების მასალები, რომელიც შესრულებულია შ.პ.ს. „გეო“-ს მიერ 2006 წლის ივლისში.

პროექტი შედგენილია მოქმედი ნორმების შესაბამისად.

### 2. მშენებლობის რაიონის მოკლე დახასიათება

საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ ოლქს. ეს ზონა გამოირჩევა ზომიერი კონტინენტური ჰავით, რომლის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $10^0$  C. მაღალი საშუალო თვიური ტემპერატურა არის ივლის-აგვისტოში და შეადგენს  $+20^0$ , ხოლო დაბალი – იანვარი-თებერვალში  $-2^0$  და  $-8^0$  C.

მშენებლობის რაიონში ადგილობრივი სამშენებლო მასალების მიღება ხდება მდ. ლიახვის კალაპოტში არსებული ლიცენზირებული კარიერიდან.

### 3. დაპროექტებული ქუჩების აღწერა

საპროექტო დავალების საფუძველზე საკვლე-საძიებო სამუშაოები ჩატარებულია სამგორის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის, გარსევანიშვილის, ყიფიანის, ყაზბეგის, ლომოურის ქუჩებზე და ცხინვალის გზადკეცილზე არსებული ტროტუარზე.

დასაპროექტებელი ქუჩები თავის მიმართულებაზე გადაკვეთს რამდენიმე ქუჩას, რომელთა სიგანე ცვალებადობს 5,0 მეტრიდან 15,00 მეტრამდე, რომელთა მიერთებებზე გათვალისწინებულია ასფალტის საფარის განაზღვრა 0,5-დან 5 მეტრამდე სისქით 5 სმ.

### 4. მოსამზადებელი სამუშაოები

მოსამზადებელ სამუშაოებში გათვალისწინებულია არსებული ასფალტის საფარზე გაჩენილი ორმოების ნაწიბურების ჩასწორება პნევმოჩაქურებით, შემდგომი დატვირთვით ავტოთვიომცლებზე და გადაადგილება 3 კმ მანძილზე ნაყარში.

საპროექტო ქუჩებზე მრავლადაა საკანალიზაციო ჭები რომელთა ადგილმდებარეობა მოცემულია სიტუაციურ გეგმაზე და უწყისში. პროექტით გათვალისწინებულია იმ ჭების აწევა საპროექტო ნიშნულამდე, რომლებიც არ შეესაბამება მოცემულ სიმაღლეს.

## 5. მიწის ვაკისი

არსებული მიწის ვაკისი ყველა ქუჩაზე მთლიანად შენარჩუნებულია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

## 6. საგზაო სამოსი

არსებული ქუჩების საფარი ასფალტობეტონისაა.

- საფარზე აღინიშნება შემდეგი სახის დეფექტები:
- ორმოები;
  - ნაწიბურების ჩამოშტკრევა;
  - ცვეთა;
  - საგზაო სამოსის შეკეთებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარება:
  - ორმოების შეკეთება წერილმარცვლოვანი ასფალტობეტონით სისქით 5სმ;
  - ნაწიბურების აღდგენა;
  - სამოსის აღდგენა დაზიანებულ მონაკვეთებზე;
  - შემასწორებელი ფენის მოწყობა წერილმარცვლოვანი ასფალტობეტონით სხვადასხვა სისქით.
  - იმ ადგილებში სადაც საჭიროება მოითხოვს და მოცემულია მიწის სამუშაოთა პიკეტური დათვლის უწყისში და სამოსის მოწყობის უწყისში;
  - ერთფენიანი წერილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა სისქით 4 სმ;
  - პროექტით გათვალისწინებულია გადამკვეთ ქუჩებზე არსებული ასფალტობეტონის საფარის აღდგენა-შეკეთება, სისქით 5სმ.
  - ორმოული შეკეთება სისქით 5 სმ.
  - პროექტით გათვალისწინებულია: წერეთლის და ლომოურის ქუჩებზე ორმოული შეკეთება სისქით 5 სმ. შემასწორებელი ფენა საშუალოდ 3 სმ სისქით.
  - გარსეანიშვლის და ყაზბეგის ქუჩებზე ორმოული შეკეთება სისქით 5 სმ. შემასწორებლის გარეშე.
  - ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქუჩებზე ასფალტის საფარის მოწყობა სისქით 4 სმ.
  - სამგორის ქუჩის დასაწყისში 3 მეტრის სიგანეზე და 40 მეტრის სიგრძეზე შემორჩენილია ასფალტის საფარი კარგ მდგომარეობაში, რომელსაც უკეთდება ორმოული შეკეთება ნაწიბურების აღდგენა.
  - იმ ადგილებზე, სადაც ასფალტის საფარი არ არსებობს, გათვალისწინებულია დანგრეული ასფალტის საფარის მოჭრა სისქით 10 სმ. მოჭრილი გრუნტის გატანა 3 კმ მანძილზე ნაყარში.
  - გათვალისწინებულია ღორღოვანი საფუძვლის მოწყობა სისქით 10 სმ, საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 5სმ.
  - საფარის ზედა ფენა წერილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით სისქით 4 სმ.






გორი - ქუჩების რეაბილიტაციის პროექტი

დირექტორი	გამსახურელი	ს ძ მ მ ა	სტადია	ნახაზის	ფურცელზე
მონიტორი	თანაორბე		მ.ა.	1	1
შეასრულა	ჯ. სამედიცინო		მასშტაბი - 1 : 25 000		
შეამოწმა	ც. პავლიაშვილი		შ.პ.ს. „გეო“ 2006 წ.		

ტაბი I



არსებული საგზაო საშობი


ორმოსული შეკვრება

შემასწორებელი ფენა - წერილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი სისქით საშ. 3სმ მარკა II (გოსტ 9128-84)

თხევადი ბიტუმი მონსხმა (გოსტ 11955-82)

საფარი - წერილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი სისქით საშ. 4სმ მარკა II (გოსტ 9128-84)

ტაბი II



საფარი წერილმარცვლოვანი

ასფალტბეტონი სისქით 3სმ  
ლორდი სისქით 8სმ

ქვეშეგები ფენა კვიშა-ზრეშოვანი  
ნარევისაგან

არსებული მიწის ფაფისი

საფუძვლის ქვეშეგები ფენა კვიშა-ზრეშოვანი ნარევისაგან

საფუძველი - ფრაქციული ლორდი სისქით 10სმ

საფარის ქვედა ფენა - მსხვილმარცვლოვანი ლორდივანი  
ფორეანი ასფალტბეტონი სისქით 5სმ მარკა II


საფარი ზედა ფენა - წერილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის  
ცხელი ნარევი მარკა II (გოსტ 9128-84) 4 სმ

- შენიშვნა:
1. სკისი სიხის დაზღვევითი ქვეშეგები ფენის სისქე 1.500-1.000 კმ. სიღრმისა.
  2. მასალის სიხის სკისი სიხის სიხისთვის მიუყვება სკისი IV კლასი I კლასის 1000 V2 და II კლასის 1000 V2.
  3. სკისი მიუყვება სკისის.

2000 კვ. სკვადრის მიწის ნაკვეთის დასრულებული ნაგებობის დეტალი

№	ნაგებობის დასახელება	ფართობი კვ. მეტრში ან ს.კ.მ.	განსაკუთრებული სახეობის კვ. მეტრში	წელი	ს.კ.მ. №
1	საფარი - ფართობი საფარი დაფარვის ფართობი საფარი	974			საფარი № 1 ს.კ.მ. № 1 ს.კ.მ. № 1

ტიპი III



არსებული მიწის ვაკისი

საფუძვლის ქვეშევრდები ფენა კვიშა-ზრუნველი ნარევისაგან

საფუძველი - ფრაქციული ლორღი სისქით 10სმ

საფარი - წვრილმარცვლოვანი შერევი ასფალტბეტონის  
(სხელი ნარევი სისქით 5სმ მარკა II (ცოსტ 9128-84))

100გ ასფალტბეტონის ნაგებობის ნაშთის ტიპი "ა"

№	ნაგებობის დასახელება	განსაკუთრებული სახეობის	წელი	ს.კ.მ. №
1	ლორღი ფრაქციული 05 - 40	ა	2002	ს.კ.მ. № 1 ს.კ.მ. № 1
2	განსაკუთრებული	ა	2002	ს.კ.მ. № 1 ს.კ.მ. № 1
3	საფარი - ფართობი	ბ	2002	ს.კ.მ. № 1 ს.კ.მ. № 1
4	საფარი	ბ	2002	ს.კ.მ. № 1 ს.კ.მ. № 1

გორი - რეაბილიტაციის პროექტი

დირექტორი	გ.მანუშვილი	საგალი ნაწილის კონსტრუქციის ტიპები	სტადია	ნაზარი №	ფურცელზე
ხორციელნი	თანამორაბე		შ.პ.	2	1
შეასრულა	ჯ.სამაგალიშვილი	8.1 : 100			
ცამოწმა	ც.პაველიაშვილი		შ.პ.ს. " გ ე ო " 2006 წ.		

- ქუჩებზე იმ ადგილებში, სადაც არსებობს დაზიანებული ა/ბ საფარი გათვალისწინებულია ორმოული შეკეთება 5 სმ შემასწორებელი ფენის მოწყობა და წვრილმარცვლოვანი საფარის მოწყობა 4 სმ სისქით.
- ყოფიანის ქუჩაზე გათვალისწინებულია დანგრეული ა/ბ საფარის მოჭრა გატანით. ღორღის საფუძვლის მოწყობა სისქით 10 სმ და ერთფენიანი წვრილმარცვლოვანი ა/ბ საფარის მოწყობა სისქით 5 სმ.
- აღ. ჯავახიშვილის ქუჩაზე მარცხენა მხარეს გათვალისწინებულია არსებული დანგრეული ბორდიურების მოხსნა გატანით.
- ახალი ბორდიურების შექმნა, მოტანა და ტროტუარის მოწყობა ქვიშაზრეშოვანი ქვეშაგები ფენის შემდეგ ღორღის საფუძვლის მოწყობა სისქით 8 სმ და 3 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა.
- ცხინვალის ვზადკვილზე არსებულ ტროტუარზე ამორტიზებული 63 ხის ამოძირკვა, ტროტუარების შეკეთება, არსებული დანგრეული ა/ბ ნარჩენების მოჭრა-გატანა, ქვიშის საფუძვლის მოწყობა სისქით 8 სმ და წვრილმარცვლოვანი ა/ბ საფარის მოწყობა. პკ 2+14-დან პკ 2+76-მდე არსებული ასფალტი არ საჭიროებს შეკეთებას, ამიტომ რჩება ხელუხლებელი.
- არსებული დამტვრეული ბორდიურის გამოცვლა, არსებული კარგი ბორდიურების ამოწვევა საპროექტო ნიშნულამდე.
- ამოძირკული ხეების ნაცვლად ახალი ნერგების დარგვა 5 მეტრის ინტერვალით.
- ქუჩების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს:
  - სავალი ნაწილის სისწორე CHulI 3.06.03-85-ის მიხედვით;
  - საფარის შეჭიდულობის კოეფიციენტი ავტომობილის თვლებთან CHulI 2.05.02-85-ის მიხედვით;
  - სავალი ნაწილის განივი ჭანობი CHulI 3.06.03.85-ის მიხედვით.

სამუშაოების შესრულების პერიოდში გზაზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ტრანსპორტის მოძრაობა. სამუშაოების შესრულებულმა ორგანიზაციამ უნდა შეადგინოს დროებითი საგზაო ნიშნების განლაგების სქემა BCH 37-84-ის მოთხოვნის შესაბამისად და შეათანხმოს საგზაო პოლოცის ადგილობრივ წარმომადგენლებთან.

სამუშაოები უნდა შესრულდეს კვალიფიციური მუშებისაგან შემდგარი სპეციალიზებული ბრიგადებით. სამუშაოების შესრულების დროს დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები.



# ქალაქ თბილისის მერია ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

№ 07/81879-10 ; 07/81882-12  
"03" 12 2009 წ.

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი  
ინსტიტუტის აღმასრულებელ  
დირექტორს ბატონ დავით ნარმანიას  
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №61, ოფისი №550

ბატონო დავით,

ქ. თბილისის მერიაში შემოსული თქვენი 2009 წლის 9 ნოემბრის (მერიის რეგისტრაციის № 07/81882-12 და №07/81879-10) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარება წარმოებს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №45 - "საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ" დადგენილებაში მითითებული ერთ-ერთი ქვეყნის სტანდარტის მიხედვით.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებობს პარკირების დგომის მეთოდის სამი ხერხი: პარალელური, 45 გრადუსიანი და მართობული დგომით. აღნიშნული დგომის მეთოდის ხერხი დგინდება ქუჩის გამტარუნარიანობისა და სატრანსპორტო ნაკადების შეუფერხებელი მოძრაობის გათვალისწინებით. ამ სტანდარტიდან გამომდინარე, ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ადგილები განისაზღვრება შემდეგი პირობებით: პარალელური დგომით პარკირების დროს შესაბამისი საგზაო მონიშვნა კეთდება 2.5 მეტრი X 7.5 მეტრი, ხოლო მართობული და 45 გრადუსიანი დგომისას 2.5 მეტრი X 5.0 მეტრი. დღეის მდგომარეობით, ქალაქში არსებობს აღნიშნული სტანდარტების მიხედვით დამტკიცებული 11 000 პარკირების ადგილი.

პატივისცემით,  
სამსახურის უფროსის მოადგილე

ერეკია ბერიშვილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №54

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

5 აპრილი 2007 წელი

§ 9 ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების (მსხვილფეხა და/ან წერილფეხა პირუტყვის) კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქის იერსახის გაუმჯობესების, ქუჩებში სისუფთავის დაცვის, მწვანე ნარგავების შენარჩუნების მიზნით საჭიროა აიკრძალოს ქალაქის ტერიტორიაზე და მისი მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებლების მიერ შინაური ცხოველების კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ უმთავადადგურვოდ გაშვება, რადგან ცხოველები აზიანებენ და აბინძურებენ ქუჩებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს (სკვერი, ბაღი, დასასვენებელი და გასართობი მოედანი და სხვა) აზანაგებენ მწვანე ნარგავებს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. აიკრძალოს ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მსხვილფეხა და/ან წერილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ – ქალაქის ქუჩებში, სკვერებში, და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაშვება.

2. განკარგულების აღსრულების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელმა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:

ა) დაჭერილი ცხოველების განთავსებისთვის სპეციალური ტერიტორიის გამოყოფა და შემოღობვა.

ბ) საყარაულო ჯიხურის მოწყობა და ტერიტორიის დაცვა.

გ) ცხოველის დაჭერის შესახებ განცხადების გამოქვეყნება.

დ) ცხოველის მესაკუთრისთვის შესაბამისი ქვითრის წარმოდგენა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შემსრულებელი პირი ვალდებულია დაკავებული პირუტყვი ამყოფოს ჩვეულებრივ პირობებში და განახორციელოს მათი კვება, მოვლა, დაცვა, არ განახორციელოს დაკავებული პირუტყვის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

4. ცხოველის სადღერამისო კვება, ტერიტორიის დაცვა და განაცხადის გამოქვეყნება განხორციელდეს პირუტყვის მესაკუთრის ხარჯზე დაჭერილი ცხოველის მეთვალყურეობის მომსახურების თანხა განისაზღვროს დღეში– 10 ლარით.

5. ამოღებული თანხები მიმართულ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტში არაკლასიფიცირებული გადასახადის ანგარიშზე ანგარიშის № 100661118.

6. უმთავადადგურვოდ გაშვებული ცხოველის დაჭერის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაჭერისთანავე გაავრცელოს ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ იმდგარად, რომ იფარაუდებოდეს ინფორმაციის საზოგადოების ფართო წრისადმი მისაწვდომობა, გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოწოდებას მფლობელის მიერ დაკავებული პირუტყვის წაყვანის შესახებ.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაკავებული პირუტყვი მესაკუთრეს გაატანოს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და გადახდილი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ. ამის შემდგომ ფორმდება დაკავებული პირუტყვის მიღების აქტი, თარიღის მითითებით და მხარეების ხელმოწერით.

8. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სრულყოფილად აწარმოოს პირუტყვის დაკავების თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია იმდგვარად, რომ გამოირიცხოს მფლობელთა მხრიდან უსაფუძვლო მოთხოვნები და პირუტყვის მფლობელზე დაკისრებული გადასახადის ამოღებასთან დაკავშირებით იხელმძღვანელონ კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას მესაკუთრის მხრიდან განკარგულების მოთხოვნათა დარღვევის გამო, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს მფლობელისაგან ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს უმთავრესად გაშვებული ცხოველის მიერ.

10. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს – მ. ბარამიძეს

11. განკარგულება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

12. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (ოზურგეთი, ი. შემოქმედლის ქ. №3), მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

13.ათი დღის ვადაში მესაკუთრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე გადაეცეს სასამართლოს.

14. განკარგულება ძალაში შედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

ვლადიმერ სურგულაძე



ს ა ქ ა რ თ ე ლ ო

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო

საკრებულოს განკარგულება № 77

2007 წლის „5“ ივლისი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2007 წლის 30 აპრილის №52 განკარგულებაში დამატების შეტანის და ქალაქ რუსთავში მოქმედი საბავშვო ბაგა-ბაღების რეორგანიზაციის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (43-ე, 44-ე მუხლები), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (63-ე მუხლი), „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (36-ე მუხლი) და „ადგილობრივი მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 ივნისის №126 დადგენილების შესაბამისად

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო

ბ ა ნ კ ა რ ბ ა მ ს :

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2007 წლის 29 აპრილის №52 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> მუხლი:  
 „2<sup>1</sup>. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მოქმედი ყველა სახელმწიფო სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების - საბავშვო ბაგა-ბაღის უფლებამონაცვლეს (დანართი).“
2. განხორციელდეს ქალაქ რუსთავში მოქმედი ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება.
3. რეორგანიზებული საბავშვო ბაგა-ბაღები ჩამოყალიბდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალებად.
4. შეიქმნას საბავშვო ბაგა-ბაღების სარეორგანიზაციო დროებითი კომისია (შემდგომში - „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

— ნინო ბასილაშვილი - თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე;



**კომისიის წევრები:**

- მერი ლოლაძე* - თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოადგილე;
- ცილა გაბისონია* - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი;
- მაია კოვორიძე* - თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტი;
- ნათია რამიშვილი* - თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;
- ვახტანგ გაჩეჩილაძე* - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;
- მზია იობაშვილი* - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მთავარი სპეციალისტი საფინანსო საკითხებში.

5. დაევალოს ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორს (ცილა გაბისონია) კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით განასორციელოს საბავშვო ბაგა-ბაღების შტატების შემცირების, შესაბამისი კომპენსაციის გაცემის და ფილიალების რეგისტრაციის ღონისძიებები.
6. რეორგანიზაციის განსახორციელებლად კომისიას მიეცეს ვადა მიმდინარე წლის 25 ივლისამდე.
7. მიენიჭოს მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ქონებისა და მიწის მართვის საკითხებში - *ჯემალ ნახუცრი შვილს* ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ თვითმმართველი ქალაქი რუსთავისათვის საბავშვო ბაგა-ბაღების ქონების გადმოცემის ხელშეკრულების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებაშოსილება.
8. დაევალოს მერიის საფინანსო სამსახურს /კობა ჩიხრაძე/ მოიძიოს და დააფინანსოს ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალების სარეგისტრაციო, გამოთავისუფლებულ მუშაკთა კომპენსაციის და საბოლოო ანგარიშსწორების თანხები.
9. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს *კახა გურგენიძეს*.
10. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
11. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე



*Handwritten signature*

**მამუკა ჩიქოვანი**

## საბავშვო ბაგა-ბაღების ჩამონათვალი

№	ბაგა-ბაღის №	მისამართი (მდებარეობა)
1	2	3
1	1	კონსტიტუციის ქუჩა №5ა
2	2	გოგებაშვილის ქუჩა №6
3	6	დ/შეტალურგთა ქუჩა №20
4	8	რუსთაველის II გას. №22ა
5	10	ცურტაველის ქუჩა №2ა
6	11	მანაბელის ქუჩა №5
7	13	მაიაკოვსკის ქუჩა №6
8	14	დ/გარეჯის ქუჩა №4ა
9	17	თოდრიას I ჩიხი №7 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ.
10	18	ფაღიაშვილის №4 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ.
11	20	კლდიაშვილის ქუჩა №8
12	21	კოსტავას გამზ. №17ა
13	22	თოდრიას III ჩიხი №7ა (მშენებარე კვლევების გვერდით)
14	23	9 ძმა ხერხეულიძის №7
15	25	ახმეტელის ქუჩა №8
16	27	მესხიშვილის III გას. №4ა
17	28	მესხიშვილის II გას. №3
18	29	XV მიკრო რაიონი №10 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ
19	31	XXI მიკრო რაიონი №10-6 საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ
20	32	XXI მიკრო რაიონის №10 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ
21	33	XXI მიკრო რაიონი №9 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ
22	35	XII მიკრო რაიონი №35 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ
23	36	XII მიკრო რაიონის №1-2 საცხოვრებელი ბინების მიმდებარედ
24	37	XVI მიკრო რაიონი №1 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ
25	39	XVII მიკრო რაიონი №20 ბინის წინ
26	40	XVII მიკრო რაიონი №21 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ
27	41	ჭყონდიდელის დასახლება, ტოლსტოის ქუჩა №19
28	43	XIX მიკრო რაიონი №8 საცხოვრებელი კორპუსის წინ
29	44	სარაჯიშვილის ქუჩა №10

სარეგისტრაციო  
დასახელებაზე გარე განათების მონტაჟი

N	სამუშაოს დასახელება	ერთეული	რაოდენობა	მსხველ		სიღვიძი		ტრანსპორტი		სულ ჯამი
				ერთეული	ჯამი	ერთეული	ჯამი	ერთეული	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	გამათრების მონტაჟი 70W	ც	20							
2	შპს სავარსის მონტაჟი (თხილთრებელი ცენტრი A10)	ც/მ	900							
3	გამათრების მონტაჟი ABBI 2X4	ც/მ	60							
4	მონტაჟის მონტაჟი	ც	1							
5	მონტაჟის ერთი მონტაჟი	ც	1							
6	ავტომატური ანთების მონტაჟი	ც	1							
7	მონტაჟის მონტაჟი ABBI 2X 10	ც/მ	12							
8	მონტაჟის მონტაჟი (კომპლექტი)	ც	20							
9	ავტომატის (კაბატი)	ც/მ	1,5							
	ჯამი:									
	საინჟინერო ხარჯები %									
	ჯამი:									
	ბუნებრივი დაზარალება %									
	ჯამი:									
	დაჯ. 18%									
	სულ ჯამი:									

ოზურბეთის მუნიციპალიტეტის ბაგბეოვის  
ა.ი.პ. „ამთილფოფოებისა და არძიტიშურული დაგეგმარების ცენტრი“

**ხარჯთაღრიცხვა**

სოფ. მეურის ცენტრში სასაფლაოს დობის შეკეთება



ა.ი.პ. „ამთილფოფოებისა და არძიტიშურული დაგეგმარების ცენტრი“-ს  
დირექტორი: *[Signature]* /ა. ბაგუა/

ქ. ოზურბეთი  
2009 წ.

## განმარტვებითი ბარათი


სოფ. მერიის ცენტრში სასაფლაოს დობის შეკეთების ხარჯთაღრიცხვა შედგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაავალებით, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის კომისიის მიერ წარმოდგენილ სადეფექტო აქტის საფუძველზე.

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა.ი.პ. „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს მიერ. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია: სამშენებლო მასალების, მუშა ხელის, სატრანსპორტო საშუალებების, საშუალო საბაზრო ფასები დღევანდელი მდგომარეობით.

ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია შემდეგი დარიცხვები:

1. ზედნადები ხარჯები 10 %
2. გეგმიური დაგროვება 8 %

გ ა მ ტ კ ი ტ ე ბ






სადეფექტო აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა კომისიამ შემადგენლობით: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თ. მურვანიძე, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა ოთარი გეგიაძე და გელა ლომჯარია

შეადგინეთ ეს სადეფექტო აქტი მასზედ, სოფ. მერიის ცენტრში სასაფლაოს ღობის შეკეთებისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახისა და რაოდენობის სამუშაოები.

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.
	2	3	4
1	ტერიტორიის გაწმენდა გააღბარდისაგან და მოშადება შემოღობვისათვის	გრძმ	150
2	მიწის მოთხრა ხელით ბოძებისათვის	კმშ.	5,2
3	აკაციის ბოძებისაგან ხაუნების მოწყობა	ცალი	75
4	3,5-5 მმ. მათულის მონტაჟი ბოძებზე მათულებადის ასაკრავად	კბ.	25
5	მათულებადით ღობის მოწყობა	გრძმ	150
6	არსებული ღობის დემონტაჟი	გრძმ	160
7	მიწის მოთხრა ხელით ღობის ფუნდამენტისათვის	კმშ.	11
8	ყალბის მოწყობა	კმშ.	1,7
9	ღობის არსებული კონსტრუქციების შეკეთება და მონტაჟი	გრძმ	160
10	ღობის მონტაჟი ახალი კონსტრუქციებით	გრძმ	20
11	ფუნდამენტის მოწყობა ბეტონით	კმშ.	20
12	ღობის შეღებვა	კმშ	540

აქტის სიზუსტეს ვადასტურებთ:

1.  თემური მურვანიძე
2.  ოთარი გეგიაძე
3.  გელა ლომჯარია

სოფ. მეერთის ცენტრში სასაფლაოს დროის შეკეთება

ხარჯთაღრიცხვს

№	სამუშაოს დასახელება	ბანკ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				განზ.	წით.	განზ.	წით.	განზ.	წით.	
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ტერიტორიის გაწმენდა მკალხარდისაგან და მომზადება შემოღობვისათვის	ბრ/მ	150	0,0	0,0	1,0	150	0,0	0	150
2	მიწის მოთხრის ხელით პოქებისათვის	კმ.	5,2	0,0	0,0	6,0	31	0,0	0	31
3	აკეთის პოქებისაგან საყრდენის მოწყობა	ცალი	75	5	3750,0	1,5	113	0,5	38	525
4	3,5-5 მმ. მცირე ზომის მონტაჟი პოქებზე მცირე ზომის ასაკრავად	კმ.	25	3,2	80,0	0,4	10	0,2	5	95
5	მცირე ზომის ღობის მოწყობა	ბრ/მ	150	5,0	7500,0	0,6	90	0,1	15	855
6	არსებული ღობის დემონტაჟი	ბრ/მ	160	0,5	80,0	2,0	320	0,0	0	400
7	მიწის მოთხრის ხელით ღობის ფუნდამენტისათვის	კმ.	11	0,0	0,0	6,0	68	0,0	0	68
8	კედლის მოწყობა	კმ.	1,7	400,0	680,0	60,0	102	20,0	34	816
9	ღობის არსებული კონსტრუქციების შეკეთება და მონტაჟი	ბრ/მ	160	1,5	240,0	3,0	480	0,0	0	720
10	ღობის მონტაჟი ახალი კონსტრუქციებით	ბრ/მ	20	35,0	700,0	10,0	200	3,0	60	960
11	ფუნდამენტის მოწყობა ბეტონით	კმ.	20	112,0	2268,0	50,0	1013	20,0	405	3686
12	ღობის შედგენა	კმ.	540	0,5	2700,0	1,0	540	0,0	5	815
	ჯამი				5443		3116		562	9121
	ხელნაწები ხარჯები 10%									912,06
	ჯამი									10032,66
	მეცხოველი დატვირთვა 8%									802,61
	ჯამი									10835,27

შეადგინა:  ი. ანდრეასიძე